CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

~~1 ლარი~~ 70 თეთრი

N26/2956/ 20 თებერვალი 2014 წ ფასი 70 თ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რატომ აგინა დავით ზურაბიშვილის შვილმა ქართველ დეპუტატებს?

რას ეუბნება „ალიას“ რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი?



## კულუარები

„ოცნებაზე“ შურისძიების მიზნით არასაპარლამენტო ოპოზიცია „ნაციონალებთან“ მოლაპარაკებას იწყებს?



## აი, თურმე რატომ ვერ იჭერენ ადეიშვილსა და დათა ახალაიას...



## რატომ უნდა გადმოიყიდეს საქართველოში უკრაინის მოვლენები...



# რა მოხდა პარლამენტის კულუარებში ბოკოხიძე-ცაგარეიშვილის გაწევ-გამოწევის შემდეგ?



## და რას ნიშნავს „დუქნის ლომი“

# რატომ არის მიუღებელი დასავლეთისთვის კიევის დარბევები და რატომ იყო მისალები თბილისის?

## და რა არის მოსალოდნელი საქართველოში?





# ნიკა მჟავანაძის საბუთებით მარინა ბერიძეს დაიჭერენ?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი 22 თებერვალს აშშ-ში ვიზიტს იწყებს




საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტი 22 თებერვალს დაიწყება და 1-ლი მარტის ჩათვლით გაგრძელდება. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, თანაინვესტირების ფონდის დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია და სხვა ოფიციალური პირები.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა (თ. მღებრიშვილი) უნდა უზრუნველყოს სპეცრეისის ხარჯების ანაზღაურება თბილისი-ფრანკფურტი-მიუნხენი-თბილისის მიმართულებით. ხოლო საქართველოს მთავრობის კანცელარიის საფინანსო დეპარტამენტმა (გ. თალაკვაძე) უნდა აანაზღაუროს პრემიერ-მინისტრის სახელით გადასაცემი საჩუქრებისა და ვიზიტთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი ხარჯები. თუ რა საკითხებს განიხილავს დელეგაცია აშშ-ში, ჯერჯერობით არ კონკრეტდება. (ფრონტნიუსი)

## საპატრიარქო კიევში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება

საქართველოს საპატრიარქო კიევში მომხდარი დაპირისპირებისას გარდაცვლილთა ოჯახებს სამძიმარს უცხადებს. კიევში მიმდინარე პროცესებს საქართველოს საპატრიარქო განცხადებით ეხმაურება.

„ეს მოვლენები, რომ რეალურად დიდი საფრთხის შემცველია, ყველასთვის ნათელია, რადგან ევრომაიდანზე უკვე ამდენი მსხვერპლი და დაზარალებულია. ჩვენ გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, მათ შორის საქართველოს მოქალაქის, ზურაბ ხურციას ოჯახს და აღვავლენთ ლოცვებს მათი უკვდავი სულისთვის. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა შემხვედრი ნაბიჯები აუცილებლად უნდა გადადგან, რომ მოვლენები ყველასთვის კიდევ უფრო დრამატულად არ განვითარდეს.

უკრაინასთან საქართველოს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. ამიტომ, ბუნებრივია, დიდად განვიცდით მომხდარს და შევთხოვთ უფალს, კეთილგონიერებამ და სამართლიანობამ გაიმარჯვოს და მშვიდობამ დაისადგუროს ამ ქვეყანაში“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ფინანსთა სამინისტრო დავების განხილვას რეგიონებშიც იწყებს




გადამხდელების ინტერესების გათვალისწინებით და მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე წლის თებერვლიდან საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს გასვლით სხდომებს რეგიონებშიც გამართავს.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ინიციატივის განხორციელების შედეგად, საქართველოს რეგიონების მაცხოვრებლებს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში შემოტანილი საჩივრების განსახილველად აღარ დასჭირდებათ დედაქალაქში ჩამოსვლა, რაც მათ დანახარჯების შემცირებისა და დროის დაზოგვის შესაძლებლობას მისცემთ.

აღნიშნული ინიციატივა ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება, რომლის მიზანიც დავების განხილვის საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაა.

პირველი გასვლითი სხდომა იმერეთის რეგიონში, მიმდინარე წლის 20 თებერვალს, ქუთაისში გაიმართება. სხდომაზე განიხილება იმერეთის რეგიონიდან გადასახადის გადამხდელთა 25 საჩივარი. დავების საბჭოს სხდომას ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილი უხელმძღვანელებს.

ყოველ მომდევნო გასვლით სხდომას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კონკრეტული რეგიონიდან შემოსული საჩივრების რაოდენობის მიხედვით გამართავს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# რა მოხდა პარლამენტის კულუარებში ბობოხიძე-ცაგარეიშვილის გაწევ-გამოწევის შემდეგ?

## და რას ნიშნავს „დუქნის ლომი“

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები – გიორგი ცაგარეიშვილი და კაკო ბობოხიძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ცაგარეიშვილმა სიტყვით გამოსვლისას, „ნაციონალურ მოძრაობას“ ბრალი არჩევნების გაყალბებაში დასდო და განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს დემოკრატიულად ატარებს.

შემდეგ სიტყვით კაკო ბობოხიძე გამოვიდა და განაცხადა: „პირდაპირ ჩვენ თვალწინ სერიოზული პროცესი მიდის, გია ცაგარეიშვილი აშკარად კაცდება, ადრე თუ ცრემლები მოსდიოდა ასეთი საუბრის დროს, ახლა უკვე უცრემლოდ ლაპარაკობს“.

დავით უსუფაშვილის მოთხოვნით ბობოხიძეს მიკროფონი გაუთიშეს, ამის შემდეგ, მიკროფონების გარეშე დეპუტატებმა ერთმანეთთან კამათი გააგრძელეს. უსუფაშვილმა ცაგარეიშვილს მოუწოდა, დარბაზი დაეტოვებინა, ხოლო ბობოხიძემ განაგრძო:

„ცაგარეიშვილი კანონპროექტებზე ლაპარაკობდა წეღან? იმ ფილმში როგორ არის? შე დუქნის ლომო, შენ!“

უცებ „ცაგარა“ აიჭრა და ბობოხიძეს პლასტმასის ბოთლი (როგორც ჩანს, „ბორჯომის“) ესროლა. გაიწია კიდეც ბობოხიძეზე, მაგრამ ხელჩართულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა. ამის შემდეგ, უსუფაშვილის მოთხოვნით სხდომათა დარბაზი ორივეს დაატოვებინეს.

სხვათა შორის, პარლამენტში მსგავსი გაწევ-გამოწევა „ბორჯომის“ „თანხლებით“ პირველად იმელის შენობაში 1994 თუ 95 წელს მოხდა, როცა ნოდარ ნათაძე პარლამენტის მაშინდელ ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილთან მივიდა, რაღაც უხეშად უთხრა და საპასუხოდ რჩეულიშვილმა „ბორჯომი“ შეასხა.

საინტერესოა კიდევ ერთი რამ. თუკი „ნაცების“ პარლამენტში ბობოხიძე „მთავარი გამრტყმელი“ იყო, „ოცნების“ პარლამენტში სულ გასუსული იჯდა. რადგან ცაგარეიშვილი „ააგდო“ და პროვოკაციაზე გამოიწვია, ეტყობა, რაღაც ხდება და გადიდგულდა. თუ რამ გაადიდგულა, ალბათ, ესაც მალე გამოჩნდება.

აქვე კარგი იქნება, თუ ბობოხიძის „მაგარ ბიჭობებსაც“ გავიხსენებთ. 2005 წელს მან ქუთაისის რადიოს პირდაპირ ეთერში სცემა ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი. ამ დროს ბობოხიძე იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობაზე იყო. ინციდენტის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ აქტიურ პოლიტიკას მალევე დაუბრუნდა.

2008 წელი. პარლამენტის სხდომაზე პეტრე მამრაძემ აგვისტოს ომს სააკაშვილის ხელისუფლების პროვოკაცია უწოდა, რასაც აკაკი ბობოხიძის აღშფოთება მოჰყვა, მამრაძეს ჯერ „ახვარი“ უწოდა, შემდეგ კი სახეში მუშტი ჩაარტყა. ამის შემდეგ დეპუტატმა ბობოხიძემ განაცხადა, საკუთარი სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვს იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში კიდევ ერთხელ განაცხადებენ, რომ ომები საქართველოს ინსპირირებული იყო.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი ცაგარეიშვილ-ბობოხიძის დაპირისპირებიდან. რატომ უწოდა ბობოხიძემ ცაგარეიშვილს „დუქნის ლომი“ და არა „რესტორნის ლომი“? ამის შესახებ თავად ცაგარეიშვილისთვის მინდოდა მეკითხა, მაგრამ მას გვიანობამდე ტელეფონი გამორთული ჰქონდა. როგორც ჩანს, ტელევიზიით გაკეთებული კომენტარის შემდეგ ჟურნალისტებთან ურთიერთობა და დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა აღარ მოინდომა.

სამაგიეროდ, ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე „ალიასთან“ განმარტება გააკეთა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დათო ლორთქიფანიძემ:

„ბობოხიძე ხონელია და სწორედ ხონში იციან ხოლმე თქმა, „შე დუქნის ლომოო“. რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე ბებერი ხარ, ძალაგამოცლილი და თვალებიდან ცრემლები მოგდის. თუ ხონელებმა რესტორნის ლომი დაგიძახეს, ესე იგი, ყოჩალი ბიჭი ხარ, მაგრად სვამ და რამე“.

**რა მოხდა პარლამენტის კულუარებში მას შემდეგ, რაც ბობოხიძე და ცაგარეიშვილი დარბაზიდან გაიყვანეს?**

როგორც დათო ლორთქიფანიძე ამბობს: „ჩხუბი გარეთ აღარ გაგრძელებულა. გარეთ გაჰყვნენ და საშუალება აღარ მისცეს. აი, ეს არის ის, რაზეც მე წინა ინტერვიუში ვლაპარაკობდი. „ნაციონალების“ ცინიზმი უკვე აუტანელია, ესენი ჩვენს მოთმინებას სინჯავენ და ასე არ გამოვა. „ნაციონალები“ ფიქრობენ, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გავედით, მთავარი ოპოზიციური ძალა ჩვენ ვართო და გადადიან თავხედობაზე. ახლა ადგილობრივი არჩევნები მოდის და ცდილობენ, ამ გზით მიიქციონ ყურადღება. უნდათ, ხალხს აჩვენონ, როგორ ვებრძვით მათ, როგორ ვესვრით ბოთლებს, როგორ ვავიწროებთ და ასე შემდეგ. სხვათა შორის, მეც ვიყავი გამომსვლელთა სიაში, მაგრამ მერე გადავიფიქრე, მაგისი დრო აღარ იყო. მე უნდა მემხილებინა ვაშაძე, თევდორაძე და ბობოხიძე, რომლებიც წყალტუბოში დადიან, შეჩერებული მშენებლობიდან მუშები გამოჰყავთ და ალაპარაკებენ, ხელფასი არ აგვიღიაო. ეგენი ლობირებას უწევენ ერთ-ერთ კომპანიას, რომელმაც უკვე მილიონები შეჭამა, ეს არის „სანი“. მაგათ ვანში 10-მილიონიანი ტენდერი აქვთ მოგებული. საერთო ჯამში, 42 მილიონი მოიგო და წინასაარჩევნოდ „ქეშად“ გადაუგდეს 5 მილიონი. საეჭვო გარიგებებია, საეჭვოდ იხარჯება ფული და ესენიც საეჭვოდ დადიან იქ. გამოიძიოს პროკურატურამ და გაირკვევა, ვინ არის „დუქნის ლომი“ და „ბიუჯეტის ჭია“. ფული უკვე შეჭამეს და საქმეებს ველარ ამთავრებენ, თუ მუშებს ხელფასები არ აუღიათ, ვისი ბრალია, „ქართული ოცნების“? ვის ატყუებს ბობოხიძე, რას პატრიოტობს, მაგას ქვეყნის ბედი აინტერესებს? არა, მათ დროს აღმოცენებულ კომპანიებს დასდევენ, რომლებსაც მილიონები აქვთ წაღებული“.



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი კიევში მიმდინარე ძალადობას გმობს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი „უკრაინაში მიმდინარე დრამატული მოვლენების გამო ღრმა შეშფოთებას“ გამოთქვამს.

„კატეგორიულად ვგმობ ძალადობას, რომელიც კიევის ქუჩებში ხდება. უკრაინაში, ჩვენს მეგობარ ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედია, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა, ჩვენი ტრაგედიაცაა, მით უფრო, რომ დაღუპულთა შორის ერთი საქართველოს მოქალაქეა. ვუსამძიმრებ და თანაგრძნობას ვუცხადებ დაღუპულების ოჯახებს და მათ ახლობლებს. კრიზისის ძალადობრივი გზით გადაწყვეტა დაუშვებელია. ეს პრინციპულად ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს. ასეთ დროს პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება ხელისუფლებას, რადგან ის ვალდებულია, არ დაუშვას სიტუაციის ესკალაცია, არ მიიყვანოს საქმე სისხლისღვრამდე და სამოქალაქო დაპირისპირებამდე. ვუერთდები დემოკრატიული სამყაროს მოწოდებას, რომ შეჩერდეს ძალადობა და მხარეებმა დიალოგის მეშვეობით გამონახონ არსებული მწვავე კრიზისის მშვიდობიანი მოგვარების გზები.

იმედს არ ვკარგავ, რომ ამ უმძიმეს წუთებში უკრაინაში ხელისუფლებაც და ხალხიც გამოიჩენს სიბრძნეს და არ დაუშვებს მოვლენების კიდევ უფრო ტრაგიკულ განვითარებას“, – ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## რაიან გრისტს აკრედიტაცია არ უნდა მისცეთო

საფრანგეთში საქართველოს ყოფილი ელჩის, მამუკა კუდავას შეფასებით, რაიან გრისტმა საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა, როდესაც ის ეუთოს სადამკვირვებლო მისიაში მსახურობდა, ამის გამო ის ეუთოს მისიამ გაიწვია საქართველოს ტერიტორიიდან.

„ასეთი პირები არ უნდა ინიშნებოდნენ საქართველოში სადამკვირვებლო მისიაში, ეს არის შეცდომა ევროკავშირის მხრიდან, თუმცა ეს შეცდომა ჩვენი გასარკვევი არ არის, მაგრამ ჩვენი გასარკვევია ის, რომ ის აქ არ უნდა მუშაობდეს. არის ერთი გამოსავალი, როგორც ვიცით, კონსულტაციები მიმდინარეობს ევროკავშირთან და თუ დარწმუნდა იგი, რომ ეს დიპლომატი უკან გაიწვიოს, ეს იქნება ძალიან კარგი. თუ არადა, ქართულმა მხარემ აკრედიტაცია არ უნდა მისცეს გრისტს. ის, როგორც ყოველთვის, დემაგოგიას ეწევა და როდესაც აცხადებს, რომ ევროკავშირს აქვს უფლება, არ შეუთანხმოს ქართულ მხარეს, ვის გამოგზავნის აქ სადამკვირვებლო მისიაში. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. მსგავსი საკითხები გვარდება ჩუმად, მოლაპარაკებების გზით“. – განაცხადა კუდავამ. (ინტერპრესნიუსი)

## საკონსტიტუციო სასამართლომ „1-ლი არხის“ სარჩელი განსახილველად მიიღო



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს მოქალაქეების დავით კანდელაკის, ნატალია დვალის, ზურაბ დავითაშვილის, ემზარ გოგუაძის, გიორგი მელაძისა და მამუკა ფაჩუაშვილის სარჩელი.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს უფროსმა მრჩეველმა გიორგი სულხანიშვილმა განმარტა, სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახლებურად დაკომპლექტების წესსა და ამ წესის საფუძველზე სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით, რითაც სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებაა გარანტირებული“, – აღნიშნა სულხანიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)


გიორგი ზურაბიშვილი

# რატომ აგინა დავით ზურაბიშვილის შვილმა ქართველ დეპუტატებს?

## რას ეუბნება „ალიას“ რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი?

კაფე „გალერიში“ ცნობილი ექიმის, გულიკო ჩაფიძის შვილიშვილის, დავით ცხაკაიას გარდაცვალების ფაქტს დავით ზურაბიშვილის ვაჟი, გიორგი ზურაბიშვილი „ფეისბუქზე“ უხამსი კომენტარით ეხმაურება და საქართველოს პარლამენტის წევრებს საჯაროდ აგინებს. პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწის, დავით ზურაბიშვილის ვაჟის, რომელიც ამერიკაში სწავლობს, გულისწყრომა გასაგებია, მაგრამ მან იმ დეპუტატებს აგინა, სადაც მამამისი და მისი გუნდის წევრები წამყვან ძალას წარმოადგენენ.

„პარლამენტში რო სხედხართ თქვე მუქთახორა დედამ..., ფეხი-ფეხზე რო გადაგიდიათ, უსიკებიან პრეზერვატივებზე ლაპარაკობთ და მარტო თქვენი ტრაკის სითბოზე ფიქრობთ, ამასობაში იღუპება ახალგაზრდა თაობა!!! პატარა ბავშვიც ხვდება იმას, რომ ბიონარკოტიკების შემოსვლას ვერ გააკონტროლებ და ნარკოტიკებს ვერ გააქრობ!!! მით უმეტეს, როდესაც ეფექტი იგივე აქვს, იმდენად მიმსგავსებულია ნარკოტიკი და შედეგი კიდევ ფატალური. ვისაც MDMA-ს დალევა უნდა, ის მაინც იშოვის და დალევს, მით უმეტეს როდესაც შეგიძლია უმარტივესად გამოიწერო და რაღა ვირთხების წამლით წამლავთ და ხოცავთ ახალგაზრდობას თქვენი გულგრილი მუქთახორა დედას შევ...ი, ცოტა ტვინი ხო უნდა გაანძრიო და დაფიქრდე. სანამ თქვენ შვილებს ან ნათესავებს არ მოუვათ ის, რაც „ცხაკოს“ დაემართა, მანამდე ვერ უნდა მიხვდეთ, რომ ბუნებრივი ნარკოტიკების აკრძალვით პრობლემა კი არ გვარდება, პირიქით საზოგადოება იღუპება?!?!?!“, – წერს გიორგი ზურაბიშვილი.

**რა პოზიცია აქვს განათლების მინისტრის ყოფილ მოადგილესა და ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს თავისი შვილის დაწერილი განცხადების შესახებ?**

**„ალია კომენტარისთვის დავით ზურაბიშვილს დაუკავშირდა:**

— **ბატონო დავით, ნახეთ თქვენი შვილის პოზიცია „ფეისბუკზე“?**

– შენც ნახე რა, დასაწერი თემა.

— **მან მთელი პარლამენტი გალანძღა ბატონო დავით და სხვათა შორის ის ძალაც, რომელიც წამყვან ძალას წარმოადგენს. ამიტომ, რატომ გიკვირთ, რომ დავინტერესდით?**

– უბრალოდ, ის „გალერიში" გარდაცვლილი ბიჭი მისი კლასელი და ძმაკაცი იყო და ფიქრობს, რომ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია თუ მოხდება, ასეთი შემთხვევები აღარ იქნება. ეს იყო სულ.

— **ესაუბრეთ ამის შესახებ?**

– დაწერა რაღაც სისულელე. ათასჯერ ვუთხარი, თან გინებას ნუ წერ, ათასი ოხერი დადის ამ ინტერნეტში-მეთქი. მოკლედ, მიიღეთ დეკრიმინალიზაციის კანონიო, ამის გამო გაგვლანძღა.

— **მუქთახორები ზიხართ პარლამენტშიო. ამაზე რა რეაქცია გქონდათ?**

– რა რეაქცია უნდა მქონდეს? ჯერ ერთი, არასწორია პარლამენტის დადანაშაულება ამ საკითხში, რადგან ეს არაა მარტივი საკითხი, მერე კიდევ იმაზე უნდა იფიქრო, რომ სოციალური ქსელი არაა პრივატული სივრცე და აქ რომ რამეს იტყვი, თუნდაც ძალიან ნერვებაშლილი, ამას არავინ გაითვალისწინებს და შეიძლება გამოგაჭენონ საქვეყნოდ. მაგრამ ახალგაზრდაა და არა აქვს სათანადო გამოცდილება.

— **გიორგის „პოსტის“ შესახებ პარლამენტში კოლეგებმა თუ გითხრეს რამე და რა პოზიცია აქვთ მათ?**

– პარლამენტის წევრებთან არ მილაპარაკია, მაგრამ ვფიქრობ, მათაც კარგად ესმით, რომ გიორგის უახლოესი მეგობარი დაიღუპა და ამ მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ დაწერა ის „პოსტი“. თან მერე მოიბოდიშა, ზედმეტად მძაფრი რეაქციის გამო.

— **თქვენმა შვილმა რეალურად არსებულ სიტუაციაზე დააფიქსირა სწორი პოზიცია, ლეგალიზაცია მოახდინეთ, სანამ კიდევ არ დაიხოცნენ ახალგაზრდებიო. ეთანხმებით თუ არა?**

– რაც შეეხება პოზიციას, მეც ვთვლი, რომ ნარკოტიკების მოხმარებაზე კანონმდებლობა ზედმეტად მკაცრია და ამ კონტექსტში დეკრიმინალიზაციას კი ვემხრობი, მაგრამ ასევე მიმაჩნია, რომ ეს პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ამას სერიოზული კომპლექსური მუშაობა სჭირდება.

**„ალია“ დაინტერესდა, იცოდნენ თუ არა დეპუტატებმა გიორგი ზურაბიშვილის ლანძღვა-გინების შესახებ და როგორი იყო მათი პოზიცია.**

**ნუკრი ქანთარია:** „ვიცი, რაც დაწერა ზურაბიშვილის ბიჭმა, ემოციურ ნიადაგზე შეიძლება, უწესოდაც წამოსცდა რაღაც. ახლა მაგაზე გამოკიდება არ ღირს. რაც შეეხება იმას, მუქთახორები რომ გვიწოდა პარლამენტარებს, ესეც გასაგებია, ყველას შეუძლია, რაღაცა თქვას და დაწეროს. არ ვგრძნობ თავს მუქთახორად და არ ღირს ამაზე ამ ბიჭისთვის საქმის გარჩევა. რაც შეეხება მარიხუანის დეკრიმინალიზაციას, რა თქმა უნდა, ვარ მომხრე. ეს უნდა ჩაითვალოს დასაშვებად. ერთია, მომხმარებელი, მეორე – რეალიზატორი, რომელიც უნდა დაისაჯოს, მაგრამ ავადმყოფი კი არ უნდა გავკიცხოთ, უნდა ვუპატრონოთ, აბა, უნდა დავცხრილოთ?“

**ბიძინა გუჯაბიძე:** „ჯერ ერთი, ზრდილობისკენ მოვუწოდებ ახალგაზრდა ბიჭს, არ ვიწონებ მის საქციელს. ეს არის არგუმენტებისა და ზრდილობის არქონის ბრალი, ახალგაზრდობის გამო მოუვიდა. რაც შეეხება მარიხუანის დეკრიმინალიზაციას, მე ახლა არ ვარ მზად, ამ საკითხს ჩავუღრმავდე, ეს არა მგონია, გამოსავალი იყოს ამ სიტუაციიდან. თუ უცხოეთში აქვს ამას რამე ახსნა-განმარტება, ამას ტრადიციის დამკვიდრება სჭირდება, რომ არც საზოგადოება დაზარალდეს და ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავვარდეთ“.

»» ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## ხურციას სამშობლოში რამდენიმე დღეში ჩამოასვენებენ



უკრაინაში გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეს, ზურაბ ხურციას სამშობლოში რამდენიმე დღეში ჩამოასვენებენ. ხურციას ნათესავების განცხადებით, მათ ღამით დაუკავშირდნენ საქართველოს საელჩოდან და აცნობეს, რომ ხურციას ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა. ოჯახის წევრები შესაბამის დოკუმენტაციას აგროვებენ, რის შემდეგაც დაიწყება გადმოსვენების პროცესი. ოჯახის წევრებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, როდის მოხდება ჩამოსვენება.

1960 წელს დაბადებული ზურაბ ხურცია კიევში 18 თებერვალს გარდაიცვალა. (ინტერპრესნიუსი)

## მოშიმშილე მეხანძრეებს სხვადასხვა ორგანიზაციების წევრები მოინახულებენ

მეხანძრეები უკვე მერვე დღეა, შიმშილობენ. პროფკავშირების გაერთიანების ცნობით, ექიმებმა 20-დან ერთ-ერთ მოშიმშილეს ჯანმრთელობის გაუარესების გამო შიმშილობა აუკრძალეს. ბოლო ორი დღის განმავლობაში ადგილზე სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახება რამდენჯერმე გახდა საჭირო.

აქციის მონაწილეებს პროფკავშირების ქალთა კომიტეტისა და სხვადასხვა ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები მოინახულებენ და მოშიმშილეებს სოლიდარობას გამოუცხადებენ.

მოშიმშილეები თბილისის სახანძრო სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელის, თემურ გიორგაძის განთავისუფლებასა და 7 მეხანძრე მაშველის სამსახურში აღდგენას ითხოვენ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი პარლამენტს მოუწოდებს



სახალხო დამცველი პარლამენტს მოუწოდებს, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტის გარდამავალი დებულება არ მიიღოს.

პროექტი, რომელიც პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ არის ინიცირებული, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას ისახავს მიზნად. ამის მიუხედავად, სახალხო დამცველს მიუღებლად მიაჩნია კანონპროექტის გარდამავალი დებულებების თავში მოცემული 32-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრული გარემოებების არსებობისას ითვალისწინებს მოქალაქეობის დაკარგვის დამატებით საფუძველს მხოლოდ იმ პირებთან მიმართებაში, რომლებმაც მოქალაქეობა 2013 წლის 1-ელი იანვრის შემდეგ, დღეს მოქმედი კანონის 34-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე მიიღეს.

„აღნიშნული მუხლი საქართველოს პრეზიდენტს უფლებას ანიჭებს, კანონის მოთხოვნათა დაუცველად საქართველოს მოქალაქეობა დაინტერესებულ პირებს მიანიჭოს. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეგულირება არაკონსტიტუციურია და საქართველოს პარლამენტმა არ უნდა დაუშვას მისი მიღება შემდეგ გარემოებათა გამო: კანონპროექტის გარდამავალი დებულება ადგენს ახალ წესს და რეტროაქტიულად არეგულირებს იმ სამართალურთიერთობას, რომელიც დასრულებულია. შესაბამისად, ირღვევა იმ პირთა უფლებები, რომელთაც უკვე მიენიჭათ მოქალაქეობა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და რომელიც დღეს მოქმედი კანონიერი გზაა მოქალაქეობის მისაღებად“. – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## გურიაში პროექტებზე 47 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება



გურიაში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 47 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, დამტკიცებული პროექტების მიხედვით, საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას 29 917 900 ლარი მოხმარდება. აღნიშნული თანხით 3 მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. წელს დასრულდება ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის გზის ორ მონაკვეთზეც.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა რეგიონში წყალ-კანალიზაციის მშენებლობა-რეაბილიტაციას. ამ მიმართულებით პროექტების განსახორციელებლად 6 374 200 ლარი დაიხარჯება. დაგეგმილია ლანჩხუთისა და ოზურგეთის წყალსადენი სისტემების რეაბილიტაცია. ასევე, ჩოხატაურისა და ურეკის წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

წელსვე დასრულდება ოზურგეთის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა. დაგეგმილია ლანჩხუთისა და ოზურგეთის ნაგავსაყრელების საექსპლუატაციო სამუშაოებიც. მყარი ნარჩენების მართვის კუთხით განსახორციელებელ პროექტებს სახელმწიფო ბიუჯეტი სულ 380 470 ლარით დააფინანსებს. სამუშაოებს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია შეასრულებს.

გურიაში სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2 369 900 ლარი გამოყო. (ინტერპრესნიუსი)

## ბეთანიაში ხვალ ღირსი მამების საფლავები გაიხსნება



პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის განცხადებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლეს ისტორიაში პირველად ხდება წმინდანად შერაცხულთა საფლავების გახსნა. ბეთანიაში 20 თებერვალს 17:00 საათზე მამა გაბრიელის მოძღვრის, ღირსი მამა გიორგი-იოანეს და ღირსი მამა იოანეს წმინდა ნაწილები გაიხსნება და ბეთანიის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძარში დასვენდება, რის შემდეგაც დაიწყება საზეიმო ლოცვა, ხოლო 24:00 საათზე – საზეიმო წირვა ღამისთევით. წირვა-ლოცვა და პარაკლისები შემდეგ დღეებშიც აღესრულება. 22 თებერვალს კი გაიხსნება სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალული ღირსი მამის, წმინდა გაბრიელ სალოსის წმინდა ნაწილები.

ღირსი მამა იოანე ათონის მთაზე 17 წელი მოღვაწეობდა. 1920-21 წწ-ში ის სხვა ქართველ ბერებთან ერთად იძულებული გახდა, ათონის მთა დაეტოვებინა და საქართველოში დაბრუნებულიყო. ღირსი მამა იოანე ბეთანიის მონასტერში დამკვიდრდა. 1924 წლიდან ბეთანიის მონასტერში მოღვაწეობდა მამა გიორგი მხეიძეც. 50-იანი წლებიდან ღირსი მამები მამა გაბრიელის სულიერი მოძღვრები გახდნენ. (ინტერპრესნიუსი)

## აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს



აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე რომან ბოლქვაძე დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. ბოლქვაძის განცხადებით, ბათუმის უნივერსიტეტში ფარმაცევტული ნაწარმის რეალიზაციის წესების თაობაზე შეხვედრაზე მივიდა, რა დროსაც კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დაკითხვაზე გაყოლა სთხოვეს. ის დაკითხვის დეტალებს არ ახმაურებს.

„უნივერსიტეტის წინ მოვიდნენ და მთხოვეს, გავყოლოდი. კრიმინალური პოლიციიდან იყვნენ. დამისვეს რამდენიმე კითხვა. რადგან პრობლემა ამოწურულია და ოპერატიული ინფორმაცია არ დადასტურდა, აღარ ვისაუბრებ, რას ეხებოდა საქმე. კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი თავმოყვარეობა შელახული არ არის. ძალიან კორექტულად და კარგად იქცეოდნენ", – აღნიშნა ბოლქვაძემ. (ინტერპრესნიუსი)

# კიევი ისევ ცეცხლის ალშია



გუშინ უკრაინაში სიტუაცია ისევ უკიდურესად დაძაბული იყო. გარდაცვლილთა რიცხვმა 26-ს მიაღწია, დაჭრილი კი 1000-მდე ადამიანია. მართალია, „ბერკუტის" წევრებმა კიევის ცენტრის გარკვეული ნაწილი და შენობები ხელისუფლების მოწინააღმდეგეთაგან გაასუფთავეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადებიან. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები შესაძლოა, უკრაინის ტერიტორიაზე ანტიტერორისტულ ოპერაციებში ჩაერთონ. სამხედროებს კანონი საშუალებას აძლევთ, გამოიყენონ იარაღი და სპეცსაშუალებები, დააკავონ და შინაგან საქმეთა ორგანოებში გადაიყვანონ სამართალდამრღვევი პირები, შეუმოწმონ საბუთები მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, დააკავონ პირადობის დადგენამდე.



ევროპული ქვეყნები ყველანაირად ცდილობენ კრიზისის განმუხტვას, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. გუშინ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა ლავროვს მოუწოდა, რუსეთმა და ევროკავშირმა ერთობლივი ძალისხმევით გამონახონ საშუალება, რათა ხელი შეუწყონ ვითარების დამშვიდებას და კომპრომისის ძიებას.

თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეებს მოუწოდა, კრიზისის დასაძლევად პოლიტიკური დიალოგის დაჩქარება უზრუნველყონ. ასევე, ცნობილი გახდა, რომ იანუკოვიჩმა გენერალური შტაბის უფროსი, უკრაინის შეიარაღებული ძალების სარდალი ვლადიმერ ზამანი თანამდებობიდან გაათავისუფლა და ამ პოსტზე იური ილინი დანიშნა, რომელიც სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი იყო.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ეხმაურება. შეერთებული შტატების პირველი პირი უკრაინელი სამხედროებისგან მოითხოვს, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში არ ჩაერიონ. ობამას განცხადებით, უკრაინა სერიოზულ შედეგებს მიიღებს, თუკი ქვეყანაში ძალადობა გაგრძელდება.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ კი დაადასტურა, რომ ვაშინგტონი უკრაინის წინააღმდეგ სანქციების შემოღების საკითხს განიხილავს, რაც ქვეყანაში მიმდინარე არეულობას უკავშირდება.

„პრეზიდენტ იანუკოვიჩს აქვს არჩევანი კომპრომისსა და დიალოგს ან ძალადობასა და არეულობას შორის. ვფიქრობთ, არჩევანი ნათელია და ჩვენ განვიხილავთ სანქციების შესაძლებლობას და სხვა ნაბიჯებს ჩვენს ევროპელ მეგობრებთან და სხვა ქვეყნებთან ერთად, რათა შევეცადოთ კომპრომისის მოძებნას", – განაცხადა ქერიმ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორან ფაბიუსთან შეხვედრის შემდეგ.

კიევში მიმდინარე მოვლენების გამო შეკრებილი იყვნენ ევროკავშირის ელჩები, თუმცა ვერ შეძლეს გადაწყვეტილების მიღება უკრაინის წინააღმდეგ სანქციებთან დაკავშირებით და ვერ შეათანხმეს ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეძლებენ უკრაინის წინააღმდეგ ინდივიდუალური სანქციების შემოღებას. 20 თებერვალს კი ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში შეიკრიბებიან და იმ პირთა წინააღმდეგ სანქციების შესახებ იმსჯელებენ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან უკრაინაში ძალადობასა და გადამეტებული ძალების გამოყენებაზე.

19 თებერვალს, გვიან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ვიქტორ იანუკოვიჩთან ოპოზიციის სამი ლიდერის არსენ იაცენიუკის, ვიტალი კლიჩკოსა და ოლეგ ტიაგნიბოკის შეხვედრა გაიმართა, თუმცა, არ გახმაურებულა, თუ რა კონკრეტული დეტალები განიხილეს ან რაზე შეთანხმდნენ მხარეები.

## გია გაჩეჩილაძე უმრავლესობის დატოვების მიზეზებს ასახელებს



დეპუტატი გია გაჩეჩილაძე უმრავლესობის დატოვების მიზეზად „მწვანეთა პარტიის" მიმართ არსებულ დამოკიდებულებასა და უთანხმოებას ასახელებს.

„ვტოვებ უმრავლესობას, რადგან ჩემი პარტიის მიმართ დამოკიდებულება ძალიან ცუდია. უმრავლესობაში „მწვანეთა პარტიის" იდეებისა და აზრების გათვალისწინება არ ხდება, თუმცა რა დამოკიდებულებაზეა საუბარი, ალბათ, ამაზე არჩევნების შემდეგ ვისაუბრებ", – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მან აღნიშნა ისიც, რომ სურდა, შესაბამისი განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაეკეთებინა, თუმცა ამის შესაძლებლობა არ მიეცა.

ცნობისთვის, გია გაჩეჩილაძეს უმრავლესობის ლიდერების მიმართ უკმაყოფილება მას შემდეგ გაუჩნდა, რაც პარტიათა საბიუჯეტო დაფინანსების სქემაში, „მწვანეთა პარტიისთვის" თანხის გამოყოფის განსაზღვრა არ მოხდა. (ინტერპრესნიუსი)

## უმცირესობამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო



საპარლამენტო უმცირესობამ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძის განმარტებით, იმ პირობებში, როცა რეგიონებში „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების დაკავება ხდება, კენჭისყრაში მათი მონაწილეობა შეუძლებელია.

„უმცირესობა აღნიშნული კანონპროექტის მიღებისას კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარს იმ მიზეზით აცხადებს, რომ რეგიონებში ჩვენი წარმომადგენლები უკანონოდ დააკავეს. შეუძლებელია ასეთ პირობებში თანაბარ საარჩევნო გარემოზე საუბარი. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსი, მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რომელიც ხორციელდება, ვერ უზრუნველყოფს შესაბამის პირობებს. ამიტომ „ნაციონალური მოძრაობა" კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავს შეიკავებს", – აღნიშნა ბაქრაძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალაიას ადვოკატი პროკურატურას ზეწოლაში ადანაშაულებს



ბაჩო ახალაიას ადვოკატი გოგა ონიანი და ბაჩო ახალაიას საქმის მოწმე ლევან მარუაშვილი პროკურატურას ზეწოლაში ადანაშაულებენ.

მარუაშვილის განცხადებით, 15 თებერვალს, დილის 08.00 საათზე მასთან ბინაში მივიდა 15 პოლიციელი, რომლებმაც ჩხრეკა ჩაატარეს იმ ინფორმაციის საფუძველზე, თითქოს მას სახლში ჰქონდა იარაღი და ნარკოტიკი, რაც, მარუაშვილის თქმით, არ დადასტურდა. მისივე თქმით, სწორედ ეს გახდა პროკურატურაში მისი მიყვანის საბაბი. პროკურატურაში მისვლისას მასთან პროკურორი შევიდა და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მოსთხოვა.

მარუაშვილმა ასევე განმარტა, რომ ის დაკითხეს გია გორგაძის წამების ფაქტთან დაკავშირებით. მარუაშვილის თქმით, პროკურატურის მისით დაინტერესების მიზეზი ის გახდა, რომ 2007 წელს ის „კრიტის" დირექტორი და ბაჩო ახალაიასთან დაახლოებული პირი იყო.

ბაჩო ახალაიას ადვოკატი, გოგა ონიანი მოითხოვს, დაიწყოს გამოძიება ლევან მარუაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით. ადვოკატის თქმით, ის 15 თებერვალს მივიდა პროკურატურაში და საათ-ნახევრის განმავლობაში ცდილობდა, ლევან მარუაშვილის დაკითხვას დასწრებოდა, თუმცა მას ამის საშუალება არ მისცეს.

როგორც ონიანმა განმარტა, მარუაშვილს სთხოვდნენ, მიეცა ჩვენება, თითქოს გია გორგაძეს და 5 პირს ბაჩო ახალაიამ პირადად მიაყენა შეურაცხყოფა და ლევან მარუაშვილი ამის მომსწრე იყო, რაზეც მან განუცხადა, რომ ის რუსთავში იყო მისული, მაგრამ ბაჩო ახალაიას მხრიდან არანაირ აგრესიასა და ვინმეს მიმართ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. (ინტერპრესნიუსი)

## „სკოლის დირექტორთა შერჩევის კონკურსი ჩიხშია შესული"



საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, სერგო რატიანის შეფასებით, სკოლის დირექტორთა შერჩევის კონკურსი ჩიხშია შესული.

„საჯარო სკოლების დირექტორების შერჩევის კონკურსი ტოვებს არა მხოლოდ უსამართლობის განცდას, არამედ ის ჩიხშია შესული. სერტიფიცირების კონკურსის გამოცხადებიდან 7 თვის შემდეგ განათლების მინისტრი აცხადებს, რომ ვერ გამოვლინდნენ საკმარისი ადამიანები იმისთვის, რომ დირექტორების კონკურსი დაიწყოს. საქართველოში არის 2 ათას სკოლაზე ოდნავ მეტი და სერტიფიცირების კონკურსის შედეგად სერტიფიცირებულია მხოლოდ 900. სულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა 3 ათასი დირექტორი, სერტიფიცირების საკმაოდ რთული პირველი ეტაპის შემდეგ დარჩა 1600, აქედან კი მეორე ეტაპზე გასაუბრება 600 კანდიდატზე მეტმა ვერ გაიარა – სხვათა შორის, ამ გასაუბრების კრიტერიუმები იყო ბუნდოვანი. საერთოდ არ არსებობს იმის გარანტია, რომ ის ობიექტურობის განცდას ტოვებდა. მივიღეთ შედეგად ის, რომ 2 ათასი სკოლიდან ათას სკოლაში გვყავს დირექტორობის კანდიდატი, რომლებსაც სახელმწიფომ უთხრა, რომ ისინი არ არიან კვალიფიციურები. საქმე გვაქვს ან პროცესის დაგეგმვის სრულ უუნარობასთან ან იმასთან, რომ არჩევნების წინ სახელმწიფოს სურს მიიღოს დირექტორები, რომლითაც მოახდენს მანიპულაციას", – განაცხადა რატიანმა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# რატომ უნდა გადმოვიდეს საქართველოში უკრაინის მოვლენები...

**უკრაინაში სიტუაცია დღითი დღე იძაბება და არეულობა თითქმის მთელ ქვეყანას მოედო. უკვე ათეულობით მკვდარსა და ათასამდე დაჭრილს ითვლიან. რატომ გადაიზარდა ეს ყველაფერი სამოქალაქო ომში და რა შემთხვევაში დაიწყება მსგავსი პროცესები საქართველოში?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– არსებობს რამდენიმე ფაქტი, რაც კითხვებს ბადებს... პირველი ის გახლავთ, რომ სიტუაციის დამძიმებამდე ვიტალი კლიჩკო შეხვდა ანგელა მერკელს, სადაც საუბარი იყო დახმარებაზე. თუმცა მერკელი დახმარებაში რას გულისხმობდა, არ ვიცით. მეორე – რუსეთმა მაინც გადაწყვიტა, იანუკოვიჩისთვის მიეცა 2 მილიარდი დოლარი დამატებით. ოპოზიციამ დაიწყო განცხადებების გაკეთება, რომ იანუკოვიჩი ფულს იღებს რუსეთიდან, ამას იყენებს თავის გასაძლიერებლად და ჩვენს წინააღმდეგ, თავის მომხრეებს ურიგებსო. როდესაც პოლიტიკაში დიდი ფულის სუნი დატრიალდება, ჩათვალე, რომ იწყება სისხლისღვრა. გარდა ამისა, ოპოზიცია მიხვდა, რომ დრო უკვე მის საზიანოდ თამაშობდა და დასწრებაზე წავიდა.

იანუკოვიჩი ოპოზიციას დაჰპირდა, 2004 წლის კონსტიტუციას აღადგენდა. შემდეგ გაირკვა, რომ აღარ აპირებდა ამის გაკეთებას. შემდეგ გაირკვა ისიც, რომ გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში, ზედიზედ სამი რეზოლუცია მიიღო ყირიმის პარლამენტმა თითქოს რუსეთთან მიერთების თაობაზე. 18 თებერვალს შესრულდა 60 წელი იმ დღიდან, რაც ხრუშჩოვმა უკრაინას აჩუქა ყირიმი. სხვათა შორის, დასავლელი ექსპერტების შეფასებები ასეთია: ეს იყო ხრუშჩოვის სულელური გადაწყვეტილება. ყირიმი უკრაინისა არასოდეს არ ყოფილა. დაუკვირდი, უკვე მთავრდება ოლიმპიადა, ეს ყველაფერი პუტინმა გადააგორა მშვიდობიანად, ყოველგვარი ტერაქტების გარეშე. ევროპელი სპორტული ჩინოვნიკები აღფრთოვანებულები არიან, სიტყვებს ვერ პოულობენ, როგორ გადაუხადონ პუტინს მადლობა. ასეთი ბრწყინვალედ ორგანიზებული ოლიმპიადა არ გვინახავსო. კლიჩკო და მისი მომხრეები მიხვდნენ, თუ ოლიმპიადა დამთავრდებოდა, პუტინი მაგათთვის საფუძვლიანად მოიცლიდა და დასწრებაზე ითამაშეს.

**— ბატონო სოსო, კიევის მოვლენებს ყურადღებით აკვირდებით, როგორ ფიქრობთ, შეიძლება იგივე საქართველოშიც განმეორდეს? ხედავთ ამის ნიშნებს?**

– ღმერთმა დაგვიფაროს... დღეს უკრაინაში უკვე სამოქალაქო ომია. აქ ლაპარაკი აღარ არის მიტინგის დაშლაზე, ეს ეტაპი მაიდანმა უკვე გაიარა. სამხრეთსა და დასავლეთში უკვე მოხალისეთა რაზმები იქმნება. ოპოზიციაშიც გამოჩნდა შეიარაღებული ხალხი. უკვე გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ოპოზიციამ იარაღის არსენალი ჩაიგდო ხელში. არ დაგავიწყდეს, იანუკოვიჩი არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკოსი, არც ჭკვიანი ყოფილა და იფიქრა, ყველაფერი ჩაწყნარდაო. ერთხელ შეხვდა პუტინს, ილაპარაკეს და ეგონა, მორჩა, გავიმარჯვეო. რასაც ოპოზიციას დაჰპირდა, უარყო, არ შეასრულა. კლიჩკომ და მისმა მომხრეებმა იგრძნეს, რომ გაბითურებულები რჩებოდნენ და მოხდა ის, რაც მოხდა. როგორც ჩანს, ორივე მხრიდან იყო პროვოკაციები, ამას ვერ დავმალავთ. ჩვენთან ამის გადმოდების საფრთხე არ არის, მაგრამ ამის თქმის საფუძველი უფრო გვექნება მაშინ, როცა გვეცოდინება უკრაინული შედეგების შესახებ. უკრაინა ევროპული გზით წავა თუ რუსული გზით? აი, ამაზე იქნება დამოკიდებული, მაშინ შეგვეხება ჩვენ... თუ უკრაინა ევროპული გზით წავიდა, ჩვენი ურთიერთობა ევროპასთან უფრო გამყარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იანუკოვიჩი ლუკაშენკოს ბედს გაიზიარებს, ხოლო გამარჯვებული რუსეთი უფრო გათამამდება ჩვენს წინააღმდეგ. სხვათა შორის, ლუკაშენკო უფრო ჭკვიანი და ცბიერია, ის რუსეთისგან იღებს უფრო მეტს, ვიდრე აძლევს. იანუკოვიჩი პირიქით გააკეთებს, მეტს მისცემს, ვიდრე მიიღებს. აი, ჯერჯერობით ასეთი სურათი გვაქვს.

**შეიძლება თუ არა თავისი მხარდამჭერების მეშვეობით რუსეთმა უკრაინული სცენარი საქართველოშიც გაათამაშოს და რა ხერხებით შეეცადება ამას? ამაზე ხალხი უკვე ინტენსიურად საუბრობს.**



**კომენტარისთვის „ალია“ საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს, ვალერი ხაბურძანიას დაუკავშირდა:**

– ქართველი საზოგადოების ნაწილი უკვე გამაღიზიანებლადაა შეშფოთებული... მე არ მესმის, რატომ უნდა გადმოვიდეს უკრაინის მოვლენები საქართველოში?

**— მე გეტყვით ჩემს აზრს: ამერიკელებმა ვერ გადახარშეს, რომ უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუცია წააგეს. ახლა ადგილი აქვს რევანშს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, საქართველოშიც ვერ შეეგუონ „ვარდების რევოლუციის“ დამარცხებას.**

– ამერიკელებს დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების მიმართ არა აქვთ ის განცდა, რაც აქვთ იანუკოვიჩის მიმართ. ამას აქვს ორი მიზეზი: პირველი – უკრაინის ხელისუფლება არის კორუმპირებული, ნახევრად კრიმინალური. საბედნიეროდ, ჩვენი ხელისუფლება ასეთი არ არის; მეორე – იანუკოვიჩის ხელისუფლებაში არ იყო ხალხი, ვისაც ამერიკელებთან კავშირები ექნებოდა. ჩვენთან ასეთები არიან „რესპუბლიკელები“ და ირაკლი ალასანია.

საქართველოში შექმნილია ვირტუალური ფრონტის ხაზი და ზოგიერთი რუსეთს ებრძვის უკრაინაში ასევე ვირტუალურად. რა თქმა უნდა, რაღაც მოძრაობები არის, რაღაც გავლენის მოპოვებას ცდილობენ, მაგრამ რაც ახლა უკრაინაში ხდება, ეს შიდა პროცესებია და გარედან მხოლოდ ფინანსურად იკვებება. რაც გამოსაკვები იყო, იანუკოვიჩი გამოკვებეს, რუსებმა მისცეს რამდენიმე მილიარდი და უთხრეს: აჰა, თუ შნო გაქვს, ხელისუფლება შეინარჩუნე. შეიძლება ასევე გარედან გააკეთოს დასავლეთმაც, ვიღაცას მისცეს ფული და უთხრას, ხელისუფლება შეცვალეო. იანუკოვიჩმა ჩათვალა, რომ გაიმარჯვა და მერე დაიწყო დროის გაწელვა და პოლიტიკური თამაში. თუ პოლიტიკური თამაშის ერთი ადგილი გაქვს, ყველა თამაში წაგებით არ უნდა დაამთავრო. იანუკოვიჩმა ევროპასთან ითამაშა და წააგო, რუსეთთან ითამაშა, 2 მილიარდი წაიღო და ეს გადასაყრელ ფულად ჩათვალა. ახლა სიტუაცია უკიდურესად აირია.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისარი ეწვევა



საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისარი გიუნტერ ოტინგერი ჩამოდის. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ევროკომისარი შეხვედრებს გამართავს: საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, ენერგეტიკის მინისტრთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან. ვიზიტის დროს ოფიციალურად გაიხსნება მოლაპარაკებები საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას საერთო ევროპულ ბაზარზე ენერგეტიკის სფეროში.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ისეთი მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები, როგორიც არის: „სიმენსი“, „გერმანიის რკინიგზა“, „გერმანიის ბანკი“, „ჰაიდელბერგ ცემენტი“.

აღნიშნული ჯგუფის მთავარ მიზანს საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობების შესწავლა წარმოადგენს. გერმანელ ბიზნესმენთა საქართველოში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია გერმანულ-ქართული ბიზნესფორუმის გამართვა. (ინტერპრესნიუსი)

## პროკურატურა დამკვირვებლების საკითხზე დეტალებს არ აკონკრეტებს



მთავარი პროკურატურა უკრაინაში 2010 წელს ჩასული ქართველი დამკვირვებლების საკითხზე გამოძიების დეტალებს არ აკონკრეტებს. პროკურატურის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, თემურ დოლიძის განცხადებით:

„გამოძიება დაწყებულია. დეტალებზე ვერ ვსაუბრობთ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. თუ რაიმე სიახლე იქნება, რაზეც შევძლებთ საუბარს, მედიას აუცილებლად შევატყობინებთ“, – განაცხადა დოლიძემ.

პროკურატურა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან იმ პირების სიას მოითხოვს, რომლებიც 2010 წელს უკრაინაში საარჩევნო პროცესზე დამკვირვებლად იყვნენ წასულები.

„ვადასტურებ, რომ შემოსულია მოთხოვნა, ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. ვინ მონაწილეობდა 2010 წელს უკრაინაში არჩევნებზე ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან. ჩვენ დაუყოვნებლივ, დაჩქარებულ რეჟიმში გავცემთ პასუხს. რაც შეეხება იმას, რა ინტერესებიდან გამომდინარეა ეს მოთხოვნა შემოსული, ეს, რა თქმა უნდა, პროკურატურის თემაა. მე ვერ გავაკეთებ განმარტებას, რომელ საქმესთან და რას საკითხებთან დაკავშირებით არის ეს ინფორმაცია მათთვის საინტერესო. ალბათ, უკავშირდება რაღაც კონკრეტულ საქმეს. ასევე ჯერ ვერ გეტყვით, თუ ვინ ესწრებოდა და ვინ იყო წარგზავნილი საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, ალბათ, იქნებოდა რამდენიმე წარმომადგენელი. მოვიკვლევთ და ამ ინფორმაციას გადავცემთ პროკურატურას“, – განაცხადა ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, პროკურატურის მიერ ქართველი დამკვირვებლების სიის გამოთხოვა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი თანხების მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას უკავშირდება. (ინტერპრესნიუსი)



# რატომ არის მიუღებელი დასავლეთისთვის კიევის დარბევები და რატომ იყო მისაღები თბილისის?

## და რა არის მოსალოდნელი საქართველოში?

**მიხეილ სააკაშვილი დასავლეთის პოლიტიკურ კულუარებში აქტიურად მუშაობს და ამტკიცებს, რომ ახალი ხელისუფლება დასავლური ნიღბითაა მოსული და სულ მალე ნახავთ, რომ ისინი რუსეთის მიმართულებით გააქტიურდებიანო. სააკაშვილი ითხოვს, რომ დასავლეთმა მხარი დაუჭიროს მის საქართველოში ჩამოსვლას და დასავლური ფასეულობებისთვის ბრძოლას.**

**„ალიას“ კითხვებს პოლიტიკური ექსპერტი ვალერი გელბახიანი პასუხობს:**

**— უკრაინაში მიმდინარე მოვლენები სამოქალაქო ომად ფასდება, რა გავლენას მოახდენს საქართველოზე ეს პროცესი?**

– სამართლებრივი კუთხით ოპოზიცია დანაშაულებრივ ფარგლებში გავიდა და კონსტიტუციურ ჩარჩოებს გასცდა. სახელმწიფოს რეაგირებაა ადეკვატური, მანიფესტანტების მოქმედებები კონსტიტუციურ ჩარჩოებს სცდება. თუ შევადარებთ 2007 წლის 7 ნოემბერს და 2011 წლის მაისის მოვლენებს, მომიტინგეებს არათუ კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გადასვლა, არამედ მცდელობაც კი არ ჰქონიათ, ისე დაარბიეს მომიტინგეები, ხალხი დაიჭირეს და ამას უწოდეს კონსტიტუციური წესრიგის დამყარება. სააკაშვილის ხელისუფლებამ რაც გააკეთა, დასავლეთმა მაშინ ეს დადებით მოვლენად შეაფასა და თქვა, რომ სახელმწიფომ ღირსეულად აღკვეთა ქუჩის დემონსტრაციები, რომელსაც ძალადობრივი ნიშნები ჰქონდაო. დასავლეთს აწყობდა, რომ ხელისუფლებაში პროამერიკული ძალები ყოფილიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პრორუსული ძალები იმარჯვებდნენ. ამიტომაც სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ყველა ძალადობა გაამართლეს. უკრაინაში შენობები აიღეს, სახელმწიფოს წარმომადგენლების სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს, შეფერხებულია ტრანსპორტის მუშაობა, რაც კი შეიძლება ყოველმხრივ გამოვლინდა არაკონსტიტუციური ქმედებები, მსხვერპლიც არის, მიუხედავად ამისა, დასავლეთი მხარდაჭერას უცხადებს დემონსტრანტებს, ხოლო ხელისუფლების კანონიერ რეაგირებას აფასებს, როგორც ძალადობის გამოვლინებას, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. როგორც არ უნდა წაახალისოს დასავლეთმა უკრაინის დემონსტრანტები, ქვეყანას აქვს თავისი შიდა სახელმწიფოებრივი ვალდებულებები და იქიდან გამომდინარე უფლებამოსილებები. მათ მიიღეს კანონი, რომელიც ძალაში შევიდა ქუჩის მანიფესტაციებთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ უახლოეს დღეებში ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ხელისუფლება მიიღებს ადეკვატურ ზომებს და კანონის ჩარჩოებში მოქცევას დაიწყებს. მომიტინგეებს და არ გამოვრიცხავ, რომ ბევრ პოლიტიკურ ლიდერსაც მოუწიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა. თუ ეს არ გააკეთა უკრაინის ხელისუფლებამ, ის სახელმწიფო მართვის კონტროლს ვერ შეინარჩუნებს და სახელმწიფო ჩამოეშლება.

**— რას უნდა ველოდოთ სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ რუსეთის მხრიდან?**

– როგორც კი სოჭში ოლიმპიადა დასრულდება, ალბათ, რუსეთი მოიცლის, რომ დასავლეთს მოუწოდოს, ორმაგ სტანდარტებს თავი დაანებოს. კონსტიტუციური წესრიგის დამყარებაში ხელი არ შეუშალონ, მაგრამ როგორც არ უნდა შევხედოთ მოვლენებს, უკრაინისთვის ეს იქნება გარდამტეხი ეტაპი, სამოქალაქო ომამდე არაფერი დარჩა. უკრაინის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ოპოზიციის მიღმა დგას დასავლეთი, მათ ინტერესებში შედის დიდი არეულობა და უკრაინის დაშლა, ამიტომ დასავლეთის მიმართ ნდობა აღარ აქვს უკრაინის პრეზიდენტს, მისთვის დასაყრდენი შეიძლება გახდეს რუსეთი და ის ცდილობს, მასთან მოძებნოს საერთო ენა. პუტინის შეფასებაში ჩანს, რომ ესენი მომიტინგეები კი არ არიან, არამედ სეპარატისტები, კრიმინალები... ცხადია, ადეკვატური მიდგომა არის მათი დაშლა, რეპრესიების დაწყება უკრაინაში, ასე ურჩევს, ალბათ, უკრაინის ხელისუფლებას, თუ გინდა კრიზისიდან გამოსვლა, 5000 კაცის დაჭერაც რომ გახდეს საჭირო, დაიჭირე, თორემ უკრაინა დაიშლებაო. ამას გაბედავს თუ არა იანუკოვიჩი, ეს მასზეა დამოკიდებული, დაჭერებმა შეიძლება პროცესები შეაჩეროს, მაგრამ პრობლემას ვერ აღმოფხვრის.

**— მიხეილ სააკაშვილი ჩასაფრებულ პოზიციაშია, ის აქტიურობს უკრაინული ტელევიზიებით. რისთვის ემზადება ის?**

– დიახ, სააკაშვილი ჩასაფრებულ პოზიციაშია, მან კარგად იცის, არჩევნებით ვერ მოვა, თუმცა ჩასაფრებულია და როგორც კი რევანშის შანსი მიეცემა, ამ შესაძლებლობას გამოიყენებს, რომ რევანშისტული პოლიტიკა განახორციელოს. რევანშის საფუძველს კი მისცემს რუსეთთან მოსალოდნელი გარიგების შესაძლებლობა. სააკაშვილი აქტიურობს უკრაინაში იმიტომ, რომ მას უნდა მსოფლიო რუკაზე ლიდერის ფუნქცია დაიტოვოს, ის ამერიკელი და უკრაინელი ლიდერი ვერ გახდება, „ევრონიუსი“ და „სი-ენ-ენ“-ი მას აშუქებს, მსოფლიო ხედავს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი საერთაშორისო აქციებში მონაწილეობს, კვლავ აფიქსირებს იმას, რომ ის თავგანწირული მებრძოლია ყველა იმ იდეისა, რაც დემოკრატიას უკავშირდება. ესაა მისი შეფუთული სახე, მაგრამ რეალურად ემზადება სხვა რამისთვის. როგორც კი საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებები დაიწყება, საქართველოში იმ რაოდენობის ადამიანი აღმოჩნდება ქუჩაში, რამდენიც საჭიროა მანიფესტაციისთვის. ფეხს მოიკიდებს ეს პროცესი ქუჩაში, სააკაშვილი მაშინვე გამოჩნდება საერთაშორისო ლიდერების გვერდით და ის კვლავ იმ დროშას ააფრიალებს, რასაც ჰქვია ევროკავშირში ინტეგრაცია.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა ორიენტაციის პარტიები არიან, ორი გამოკვეთილად პროდასავლურია – „რესპები“ და ალასანია. შეიძლება გუშინდელი დასავლეთისთვის მებრძოლი „რესპუბლიკელები“ ხვალ რუსული ინტეგრაციის მომხრეებად ვიხილოთ. რყევა დაიწყება შიგნით, მე მაინც ვფიქრობ, რომ ალასანია და მისი პარტია არ დაეთანხმება რუსეთთან ინტეგრაციას და ამან შეიძლება რყევა კი არა, კოალიციის ნგრევა გამოიწვიოს. ამიტომ თუ პარლამენტის მიერ არ იქნა მხარდაჭერილი სახელმწიფო სამთავრობო პოლიტიკური კურსის განხორციელება, ცხადია, ეს კურსი ვერ განხორციელდება და ქუჩაში დაწყებული პროცესები ბოლო შედეგს იპოვის იმაში, რომ ხელისუფლებას შეცვლის. ესაა რთული კომბინაციები, რთული ტექნოლოგიები, მიშა ამ შემთხვევაში რთული ტექნოლოგიების მცოდნეა, ვიდრე ხელისუფლება.

**— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწერება და არის ინფორმაცია, რომ შესაძლოა კიდევ მეტად დაჩქარდეს ეს პროცესი. შესაბამისად, საგარეო კურსი როგორ გადაიხედება?**

– ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერება, როგორც კი ეს პროცესი მოახლოვდება, რუსეთი გააქტიურდება და ამას თუ ნებით ვერა, ძალით მიაღწევს. შედგება პრეზიდენტებს შორის შეხვედრა, არის მესიჯი გამოგზავნილი. ნუ იჩქარებს საქართველო ასოცირებაზე ხელშეკრულების ხელმოწერას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ყველა ის სამომავლო ურთიერთობები, რაც შანსის სახით არსებობს, თუ არ შესრულდება ის, რაც პრეზიდენტებს შორის ითქმება, ამას მოჰყვება პროვოკაციები და ამას წამოეგება საქართველო. მიშა პოლიტიკურ წრეებში ამკვიდრებს აზრს, რომ საქართველოს მთავრობა არაა პროდასავლური. ამას დრო გამოავლენს, ამიტომ უნდა მიეცეს საშუალება გადაარჩინოს საქართველო რუსული აგრესიისგან, ამ მისიაზე ის მზადაა, პროცესს ამზადებს, რომ მხარდაჭერილი იყო მთელი მსოფლიოს მიერ მისი აქ გამოცხადება.

**დიდი ალბათობით, სააკაშვილი უკრაინაში იმ მეთოდს ამუშავებს და იმ სცენარს ცდის, რომელსაც თავისი გეგმების მიხედვით და თავისი დასავლელი მფარველების მხარდაჭერით საქართველოში გამოიყენებს.**

**გავიხსენოთ, „ვარდების რევოლუციამდე“ სწორედ დასავლელი მფარველების დახმარებით დაატარებდა „კმარას“ აქტივისტებს სერბეთში თუ ბოსნიაში ტრენინგებზე და გაამართლა, მიშამ მიზანს მიაღწია. რა გარანტიაა, რომ სააკაშვილი ახლაც არ ატრენინგებს უკრაინაში თავის „ზონდერებს“ და ამ სცენარსაც წარმატებით არ განახორციელებს საქართველოში?**

ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### თბილისის ბიუჯეტის არც ერთი ვარიანტი არ დამტკიცდებაო

„თავისუფალი საქართველო“ თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, მიხეილ ქავთარაძის განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც, საკრებულოს უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტს იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ თბილისის მთავრობა გადადგება.

„ქართულმა ოცნებამ“ დაადასტურა, რომ მისი მიზანია საკრებულოს დათხოვნა და თბილისში წინასაარჩევნოდ პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება. ამის შესაძლებლობას ხელისუფლებას „პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი აძლევს, რომლის მიხედვითაც: „საკრებულოს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, თუ საკრებულომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებიდან სამ თვეში არ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

ამის შემდეგ, „ქართული ოცნება“ დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ირაკლი შიხიაშვილის დანიშვნას და ადგილობრივი არჩევნების წინ, ქვეყანაში სრული პოლიტიკური მონოპოლიის დამყარებას გეგმავს“, – აცხადებენ პარტიაში. (ინტერპრესნიუსი)

### ისნის გამგებელი ქავთარაძის განცხადებას გამოეხმაურა



თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ქავთარაძის განცხადებას, ისნის რაიონის გამგებელი თორნიკე ხუციშვილი გამოეხმაურა.

ხუციშვილის განმარტებით, მოხდა გაურკვევლობა და პრობლემა უკვე აღმოფხვრილია. „ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის წახალისების მიცემასთან დაკავშირებით, მსგავსი ტიპის პრობლემა გასული წლის სექტემბერშიც წარმოიქმნა. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მოხდა იმდროინდელი ქალაქის მერის, გიგი უგულავასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს შორის შეხვედრა. სწორედ მაშინდელ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ მომავალშიც მოხდებოდა ანალოგიური პრობლემა, ერთმანეთთან კოორდინაციით აღმოიფხვრებოდა ყველა პრობლემა.

დღესაც გვაქვს მსგავსი ტიპის პრობლემა. სოციალური მომსახურების სააგენტოსთან მოხდა საკითხის გარკვევა, პრობლემა ამოწურულია და ყველა იმ ამხანაგობის თავმჯდომარეს, რომელთაც წახალისების გამო შეუწყდა დახმარება, მომავალ თვეში სრულად დაერიცხებათ თანხები“, – აღნიშნა გამგებელმა.

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ქავთარაძე ისან-სამგორში 300-მდე პირისთვის სოციალური პაკეტის შეჩერების საკითხის შესწავლას ითხოვს. როგორც ქავთარაძემ განაცხადა, თებერვლის დასაწყისში, ისნის რაიონში 94 ამხანაგობის თავმჯდომარემ და სამგორში 205-მა ამხანაგობის თავმჯდომარემ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიიღეს წერილები, რომ მათ პენსია და სხვა სოციალური მომსახურების პაკეტები შეუჩერდათ. ქავთარაძემ აღნიშნა, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეებს წახალისებისთვის განკუთვნილი თანხები ხელფასის სახით დაერიცხათ, რის გამოც, მათ სოციალური პაკეტები გაუუქმდათ. ქავთარაძე მიმართავს სამართალდამცავებს, შეისწავლონ ეს საკითხი. ქავთარაძემ აღნიშნულ ფაქტს შეგნებული საბოტაჟი და პროვოკაცია უწოდა. მან აღნიშნა, რომ ამის გამო 300-მდე ადამიანმა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება გამოხატა. (ინტერპრესნიუსი)

# კულუარები



# „ოცნებაზე“ შურისძიების მიზნით არასაპარლამენტო ოპოზიცია „ნაციონალებთან“ მოლაპარაკებას იწყებს?



არასაპარლამენტო ოპოზიციაში მორიგი სკანდალი მწიფდება. საქმე ეხება თბილისის მერობის ერთიან კანდიდატს. როგორც ინკოგნიტო წყარო ამტკიცებს, „ალიასთან“ საუბარში, არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ფარულ მოლაპარაკებებს მართავს და უკვე დაგეგმილია ერთი კანდიდატის წარმოდგენა დავით ნარმანიას „ჩაძირვის“ მიზნით. მე პირადად ეჭვი მეპარება, რომ ამ ადამიანებმა ნარმანიას ჩაძირვა შეძლონ, მაგრამ საამისო სურვილი რომ დიდია, ეს უკვე ცხადი ხდება.

არასაპარლამენტო ოპოზიციამ თხარა, თხარა და 50-პროცენტიანი ბარიერი გამოთხარა. ესენი აქამდე ისე იქცევიან, გეგონება, ციდან ვარსკვლავებს წყვეტენ და ხელისუფლებამაც „გადაუგდო“, 50 პროცენტი გინდათ და ასე იყოს, ერთი გამოდით, გვაჩვენეთ, რა შეგიძლიათო. ახლა ამბობენ, ჩვენ ამას „ნაციონალების“ დროსაც ვითხოვდითო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ მაშინ სულ სხვა რეალობა იყო. ამჟამად არასაპარლამენტოებში თურმე დიდი კამათი მიდის იმის თაობაზე, რატომ უნდა დაუპირისპირდნენ ისინი კოალიციის კანდიდატს? მაგალითად, „ტრადიციონალისტი“ აკაკი ასათიანი და „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერი, სერგო ჯავახიძე ამ იდეას არ ეთანხმებიან და ამბობენ, რომ მათი პოლიტიკური მიზანი ნარმანიას „ჩაძირვა“ ნამდვილად არ არის. თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია ამ გზას დაადგება, ასე „ნაციონალების“ კანდიდატს, გიგი უგულავას დაეხმარება. ისინი საპრეზიდენტო არჩევნების გამოცდილებას ითვალისწინებენ და ამტკიცებენ, რომ არ არის გამორიცხული, უგულავას შემთხვევაშიც იგივე პრეცედენტი განმეორდეს და დავით ბაქრაძის მსგავსად 20 პროცენტი აიღოს. როცა ამერიკელი და ევროპელი პოლიტ-ჩინოვნიკები „ნაციონალებს“ ისევ გულშემატკივრობენ, ასეთი რამ მართლაც არ არის გამორიცხული. დავუშვათ, თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია და „ნაციონალები“ ერთად 35 პროცენტს წაიღებენ, მაშინ ნარმანია მართლაც „ჩაიძირება“. როგორც ჩანს, ესენი მაინც მეორე ტურზე არიან ორიენტირებულები, მაგრამ შეძლებენ კი ამას? პრინციპში, ნარმანიას „ჩაძირვის“ მოსურნეებისთვის ყველაზე კარგი კანდიდატურა ნინო ბურჯანაძეა, რომელიც, სავარაუდოდ, არ აპირებს ბალათურია-კუკავასთან გარიგებას და მით უმეტეს, მისი ამბიციები მერის პოსტს ბევრად აღემატება. სერგო ჯავახიძის თქმით, ესენი დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, კოალიციის კანდიდატი აუცილებლად უნდა გადავაგდოთო:

„მე პირდაპირ ვხედავ, რაც ხდება... ტიპები გახდნენ უკიდურესი რადიკალები. უკვე ოცნებობენ, რომ „ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან უნდა გაუშვან. ესენი ნადირობენ განაწყენებულ სეგმენტზე და ასევე თვალი უჭირავთ „ნაციონალების“ მომხრეებზე. მე ვფიქრობ, ეს არ არის კარგი საქმე და ამიტომაც ვერ გავერევი“.

ანალოგიურად ფიქრობენ, როგორც უკვე გითხარით, „ტრადიციონალისტები“. ასევე, სალომე ზურაბიშვილის პარტიაც.

სხვათა შორის, ცოტა უცნაურად გამოიყურება არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი, ფაქტობრივად, ზოგიერთს რა მიზანიც ჰქონდა, უკვე გაინაღდა – თუკი კვალიფიციურ სუბიექტებთან გაერთიანდებიან, დაფინანსებასაც მიიღებენ და უფასო სარეკლამო დროსაც. თუმცა, აქ ერთი მომენტი არ უნდა გამოგვრჩეს, ხელისუფლებასთან კერძო გარიგებები არ შედგა ფულის თაობაზე. მაგაზე არ იდარდოთ, თუ ერთიანი კანდიდატი გამოინახა და „ნაციონალებმაც“ კარგად აიღეს „რაზგონი“, მაშინ დაიწყება ვაჭრობა კანდიდატის მოხსნა-არმოხსნის თაობაზე: მოდი, ძმაო, გადაიხადე, შენს სასარგებლოდ მოვხსნი. აი, ეს არის ამ ყველაფრის მუღამი და გემო. როგორც სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, თუკი პარტია წარადგენს საარჩევნო ხარჯთაღრიცხვას, ნახევარი მილიონი ლარის ფარგლებში აუცილებლად აუნაზღაურდება დანახარჯი. ეს კი ცოტა ნამდვილად არ არის:

„დღეს ოპოზიცია 50 პროცენტს და პლუს 1-ს რანაირად აიღებს, რომ თავისი კანდიდატურა გაიყვანოს? ეს არის წარმოუდგენელი ზღაპარი. გამოდის, ძირითადი მიზანი საკუთარი კანდიდატის გაყვანა კი არა, „ნაციონალებთან“ ერთად ხმების წართმევა, ვაჭრობა და საუკეთესო შემთხვევაში მეორე ტურია, სადაც, რა თქმა უნდა, ისევ დამარცხდებიან“.

**„ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია** „ალიასთან“ ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს იმ მიზეზით, რომ პოლემიკაში შესვლას არ აპირებს. აი, კიდევ ერთი უცნაურობა:

— **ჯონდი, შენთან პოლემიკაში შემოსვლას არავინ არ აპირებს, მე გეკითხები: ერთიან კანდიდატზე შიგნით ლაპარაკი მიდის?**

– გელა, ბოდიშს გიხდი, ვიღაცების ნათქვამზე კომენტარებს ვერ გავაკეთებ. როცა რაიმე თემაზე კომენტარი გინდა, მე ყოველთვის მზად ვარ, პატივს გცემ, პოპულარული გაზეთია და კომენტარს ყოველთვის გავაკეთებ.

— **მე მაინტერესებს, სხვა არაფერ შუაშია.**

– შენ კი გაინტერესებს, მაგრამ იცი, როგორ იქნება? ჩემი საუბარი იქნება და კიდევ ვიღაცების. ბოდიშს გიხდი, მაგაზე კომენტარს არ მოგცემ, ცალკე ნებისმიერ საკითხზე ვისაუბროთ. არ მინდა, ვიღაც სულელთან ერთად გამოვჩნდე.

— **კარგი...**

– არ გეწყინოს.

— **არა.**

– მართლა არ გეწყინოს, ჩვენ მეგობრები ვართ და გამიგე.

**ვაააა... ჯონდი ან ნასვამია, ან კიდევ, რაც ზემოთ დავწერე, 100-პროცენტიანია. შეკითხვას ხეირიანად არ მასმევინებს და უკვე იძახის სულელებთან პოლემიკაში არ შევალო. აი, ესეც ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დონეზეა აჭრილი არასაპარლამენტო ოპოზიცია, ერთმანეთს შიგნითვე ვერ იტანენ და ამათ რა უნდა გააკეთონ, თუნდაც ადგილობრივ არჩევნებში?!**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

## ახალგაზრდა მამაკაცი დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა



ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში 25 წლამდე მამაკაცს დენმა დაარტყა და გარდაიცვალა. აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, მამუკა თურმანიძის ცნობით, დენის დარტყმის შედეგად, მამაკაცი ბოძიდან გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

მისივე განმარტებით, სამაშველო სამსახურის თანამშრომლები არკვევენ, მამაკაცი იყო თუ არა რომელიმე ენერგოკომპანიის თანამშრომელი. (ინტერპრესნიუსი)

## აჭარის პოლიციის უფროსად დავით თამაზაშვილი დაინიშნა



შს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დავით თამაზაშვილი დაინიშნა. მისი განცხადებით, „დღეს (19 თებერვალს) მოვედი სამსახურში და შევუდექი მუშაობას, ჩვენი სტრატეგიაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“, – აღნიშნა დავით თამაზაშვილმა.

დავით თამაზაშვილი წლების განმავლობაში კრიმინალურ პოლიციაში მუშაობდა. მან აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ვალერი თელია შეცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, თელია მუშაობას თბილისში გააგრძელებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარკოტიკის შემცველ აბებს აფთიაქებში ჯანდაცვის სამინისტრო აღრიცხავს



დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, სააფთიაქო ქსელში სარეალიზაციოდ დარჩენილი ნარკოტიკის შემცველი აბების ინვენტარიზაციას ჯანდაცვის სამინისტრო მოახდენს.

„სააფთიაქო ნარკომანიის მასშტაბებიდან გამომდინარე, ვერ დავადგინეთ სააფთიაქო ქსელში რამდენი აბი არსებობს, რომელთა რეალიზაციაც შეიძლება მოხდეს. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვის სამინისტრო მოახდენს ინვენტარიზაციას, თუ რამდენი აბია ქსელში დარჩენილი, რაც ნარკოტიკულ შემადგენელს შეიცავს. ამის შემდეგ განისაზღვრება 2014 წლის კვოტის ოდენობა, გამომდინარე საჭიროებიდან. შიდა კვოტირების განსაზღვრის საშუალებას ინვენტარიცაზიის შედეგები მოგვცემს“, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისივე თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2012-2013 წლებში 2 მილიონზე მეტი ასეთი აბია იმპორტირებული. (ინტერპრესნიუსი)

## ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით ორი პირი დააკავეს



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1977 წელს დაბადებული ლევან ნ. და 1978 წელს დაბადებული ალექსანდრე ვ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები გურჯაანში, წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე მაღაზიაში, ურთიერთშელაპარაკების მიზნით ფიზიკურად გაუსწორდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტს, 1965 წელს დაბადებულ ჯიმშერ ოსიაშვილს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორივე ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს გურჯაანში, ნონეშვილის ქუჩაზე დააკავეს. (ინტერპრესნიუსი)

## მოსკოვის გამზირზე ჯარისკაცი მსუბუქად დაშავდა



მოსკოვის გამზირზე, ჯარისკაცს ხის ტოტი თავში დაეცა. თბილისის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციათა მართვის სამსახურის ცნობით, ხის ტოტი ძლიერი ქარის შედეგად მოტყდა. შემთხვევის შედეგად ჯარისკაცი მსუბუქად დაშავდა. მას სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმებმა დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს.

საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურის ინფორმაციით, დღის განმავლობაში ძლიერი ქარის გამო რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. გამოძახებები ძირითადად ხის ტოტის მოტეხის გამო ხდება, თუმცა რაიმე სახის დაზიანებები არ ყოფილა. (ინტერპრესნიუსი)

# ნიკა მჟავანაძის საბუთებით მარინა ბერიძეს დაიჭერენ?



კულტურის სამინისტროს ღონისძიებების დეპარტამენტის უფროსი მარინა ბერიძე „უფლებადამცველთა გაერთიანების" განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ 2009-დან 2014 წლამდე საქართველოში კონცერტებზე ხელშეკრულებები ძირითადად ერთსა და იმავე კომპანიებთან

ფორმდებოდა.

მისივე თქმით, „უფლებადამცველთა გაერთიანებამ" რამდენიმე მიღება-ჩაბარების აქტი მოიძია, სადაც მარინა ბერიძე აწერს ხელს, მაგრამ აქტს არ ახლავს ხარჯთაღრიცხვა და შესრულებული სამუშაოებისა და მათი ღირებულების ჩამონათვალი. მისივე თქმით, აუდიტი ჩატარდა და არანაირი დარღვევა არ ყოფილა.

ვინ იტყუება – ბერიძე თუ მიცხადებია დამნაშავედ, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი არის და დანაშაულის ნიშნები ნამდვილად შეინიშნება იმ ქმედებებში, რასაც წლების მანძილზე ახორციელებდა მარინა ბერიძე თავისი დეპარტამენტის დახმარებით. ეს დეპარტამენტი უფორმებდა ხელშეკრულებებს ისეთი კომპანიებს, როგორიც არის „ზუმბალენდი", „ალტერვიზიონი", „არტფორუმი" და სხვები. ხდებოდა ხელშეკრულებების გაფორმებამდე ტენდერების გამოცხადება. ამ ხელშეკრულებებს კი ხშირად არ ახლავს მიღება-ჩაბარების აქტები და არ არის ხარჯთაღ-

**ამბობთ, ის შემმოწმებელიც უნდა დაისაჯოს. ამასაც გაარკვევთ?**

– რა გამოქვეყნდა, სად? რა უფლება მაქვს, მაგათი ნამღერი, ან კონცერტი შევაფასო, მაგრამ ჩემი, როგორც უფლებადამცველის, კომპეტენციაა, რომ ჩემი და თქვენი გადახდილი ფული სად მიდის, ეს გავარკვიო. ამას ყველაფერს „ატკატებისა" და კორუფციის სუნი ასდის. თუ ეს ხალხი მართალია, მაშინ გამართლდებიან, თუ არა, სამართალდამცავებმა მიხედონ საქმეს. ეს დოკუმენტაცია მე მოძიებული მაქვს, სადაც ხალხის თანხები არამიზნობრივად იხარჯება. ჯარო იყოს ინფორმაცია, ეგება უფრო იაფად აკეთებს ვინმე? მე არ ვეხები თავად პიროვნებას და თუ მას არ აქვს პრობლემა, რატომ არის ასეთი გაცხარებული? თუ კანონთან მწყრალად არ არიან, რატომ ცხარობენ და რატომ უთრთით ერთი ადგილი? თუკი შეუძლიათ თავისი სიმართლის დამტკიცება, კი, ბატონო, მაგრამ ვფიქრობ, აქ არის გარკვეული დანაშაული, რადგანაც ეს სახელმწიფოს ფულია. როცა კულტურის სამინისტროს არ შეუძლია თოჯინების თეატრის მსახიობების დაფინანსება და მსახიობებს უშვებენ იმიტომ, გაქვს 42 წლის სტაჟის მქონე მსახიობისთვის, რომელმაც თაობები გაზარდა, რა უფლებით რიცხავ ამხელა თანხებს ამ კონცერტებში? წელს „ევროპის მოედანზე" გაიხარჯა 231 625 ლარი, ხოლო საახალწლო ღონისძიებებზე – 286 922 ლარი. „ნაციონალების" დროს რაც იყო, ყველაფერი გრძელდება. ამხელა ფულები გადიოდა ამ სამინისტროდან, ყველა ვხედავთ და რისთვის გადიოდა, რატომ, აგვიხსნას, ვინმემ? მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ სახელმწიფოს თანხები არამიზნობრივად არ უნდა დაიხ-

„უფლებადამცველთა გაერთიანების" ხელმძღვანელი მჟავანაძე?

**„ალია კომენტარისთვის ნიკოლოზ მჟავანაძეს დაუკავშირდა:**

– არასოდეს მიმიყენებია შეურაცხყოფა და არ გამორიცხვა. ჩვენ ამის თაობაზე ფინანსურ პოლიციაში აუცილებლად შევიტანთ განაცხადს, რომ ეს ამბავი კარგად გამოიძიონ.

**— რაც შეეხება ბერიძის განცხადებას, რომ შეამოწმეს ეს ამბავი და იანვარში ყველა დოკუმენტი უკვე გამოქვეყნდაო. გამოდის თქვენ თუ მართალს**

ამხელა თანხებს რომ მოგცემენ და მილიონებს გადაგიხდის საიმიჯო კლიპებში, რა იქნება? ვთქვი ის, რაც ვთქვი, ორჯერ ორი ოთხია, რომ უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა და რაში იხარჯებოდა ფული, დოკუმენტი უნდა არსებობდეს-მეთქი და რა მოხდა? სარომ 300 ლარს ვერ უხდიან, ამ დროს ეს არის დამლაგებლის ფული.

**— ამის შესახებ ვინმეს ელაპარაკეთ სამინისტროში?**

– მანანა ბერიკაშვილს და რა მიპასუხა? რა ვქნათ, თანხები არ გვაქვსო და, შე დალოცვილო, თუ 300 ლარი არ არჯოს და რა უტყუარი საბუთები აქვს ბერიძეს? პარასკევს უკვე შემაქვს განცხადება ამ ყველა ხარჯთაღრიცხვის გარეშე მოპოვებული დოკუმენტების და გამოიკვლიონ.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50



## ყველა სასტუმროში სათვალთვალო აპარატურაა?

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, ყველა სასტუმროში სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურაა დამონტაჟებული.

„დღეს სამართალდამცველებმა სრულად აღადგინეს კონტროლი მობილურ ოპერატორებზე. ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი იყო, რომ მთელი საჯარო სამსახური დაავალდებულეს, მხოლოდ ერთი მობილური ოპერატორით ესარგებლა. ჩვენი ინფორმაციით და ეს საერთაშორისო და ქართულ პრესაშიც გაჟღერდა, რომ შემოტანილია ახალი აპარატურა მოსმენებისთვის და დღეს უკვე ორჯერ მეტ ადამიანს უსმენენ. ასევე, მაქვს ზუსტი ინფორმაცია და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველა სასტუმროში დამონტაჟებულია სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა“, –- აღნიშნა ბეჟაშვილმა.

მან კომპანია „ჯეოსელში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებითაც ისაუბრა: „ჯეოსელის“ სათავო ოფისიდან გაკეთდა განცხადებები, რომ საქართველოს ხელისუფლების სამართალდამცველი ორგანოები ახორციელებენ ზეწოლას კომპანიაზე უკანონო მოსმენების წარმოებასთან დაკავშირებით. ეს პრაქტიკა წარსულშიც ხორციელდებოდა, ისინი აღშფოთებას გამოთქვამენ, რომ დღესაც ანალოგიური პრაქტიკით მიდის ვითარება“, – აღნიშნა დეპუტატმა.

მისი თქმით, ნაცვლად იმისა, რომ ამ განცხადებას სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური რეაგირება მოჰყოლოდა, მივიღეთ საყოველთაო დუმილი. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება იმეორებს იგივე შეცდომებს, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს ხორციელდებოდა.

„მხედველობაში მაქვს სპეცსამსახურების წარმომადგენლების საქმიანობის პრაქტიკულად უკონტროლობა. არანაირი რეგულაციები და კონტროლი დღესაც კი ამ მიმართულებით არ არის შემუშავებული. არანაირი კონტროლი საპარლამენტო კომიტეტებიდან არ ხორციელდება სამართალდამცველ ორგანოებზე, რათა მსგავსი ქმედებები აღიკვეთოს“, – აღნიშნა დეპუტატმა. (ინტერპრესნიუსი)

## ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მსურველები გამოვლინდნენ

კახეთის რეგიონში, მდ. ავანისხევზე „ავანი ჰესს“ ქართული კომპანია „ენერგო-ინვესტი“ ააშენებს. ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, ჰესის დადგმული სიმძლავრე 4.6 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება კი 18,63 მლნ.კვტ/სთ. პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 7,8 მლნ-ს შეადგენს.

ინვესტორმა ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ენერგეტიკის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვეში უნდა უზრუნველყოს, ხოლო ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში სამშენებლო ნებართვის აღებიდან 24 თვეში უნდა გაუშვას.

ასევე, მდინარე დოლრაზე, „დოლრაჰესი 3“-ის მშენებლობაზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად თურქული კომპანია AHLATCI ENERJI SANAYI VE TICARET LIMITED SIRKETI-ი გამოცხადდა.

„დოლრაჰესის“ დადგმული სიმძლავრე 30 მგვტ-ია. წლიური გამომუშავება კი – 124 მლნ.კვტ/სთ. პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 41,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ინვესტორსა და ენერგეტიკის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვეში მომზადდება. ახალი ჰესი სამშენებლო ნებართვის აღებიდან 36 თვეში ამოქმედდება.

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, მდინარე რიონზე, „ალპანა“ და „სადმელი“ ჰესების კასკადის მშენებლობის მიზნით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად თურქული კომპანია „ჩალიკ ენერჯი“ გამოცხადდა. „ალპანაჰესის“ დადგმული სიმძლავრე 70,6 მგვტ-ია. წლიური გამომუშავება კი – 356,8 მლნ.კვტ/სთ. „სადმელიჰესის“ დადგმული სიმძლავრე 153 მგვტ-ს შეადგენს, წლიური გამომუშავება კი – 637,6 მლნ.კვტ/სთ-ს. კასკადის პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 485 მლნ აშშ დოლარია.

ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ინვესტორსა და ენერგეტიკის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვეში მომზადდება, კასკადი ექსპლუატაციაში სამშენებლო ნებართვის აღებიდან 48 თვეში შევა. გამარჯვებულ კომპანიებთან ხელშეკრულებები უახლოეს მომავალში დაიდება. (ინტერპრესნიუსი)

## განჯაში საქართველოს გენერალური საკონსულო გაიხსნა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საკონსულოს გახსნის ცერემონიას ქალაქ განჯაში სამმხრივი მინისტერიალის ფარგლებში მყოფი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები დაესწრნენ.

როგორც საკონსულოს გახსნის ცერემონიაზე განჯაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა მამუკა ბალავაძემ განაცხადა, გენერალური საკონსულო ხელს შეუწყობს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის როგორც ორმხრივი ჰუმანიტარული, კულტურული და ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო გაღრმავებას, ასევე მოემსახურება საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც საკონსულო საკითხებთან დაკავშირებით ბაქოში ჩასვლას ვერ ახერხებენ. (ინტერპრესნიუსი)

## კალაძე იმედიანად არის




ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, „საქართველოში განწყობა და გულისტკივილი უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიმართ ცალსახაა და უცვლელი“.

„ის, რაც ხდება კიევის და სხვა ქალაქების ქუჩებში, არის უმძიმესი საყურებელი... ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას, უდიდესი სითბო და სიყვარული, ძმობა და მეგობრობა გვაკავშირებს უკრაინასთან, მათი ტკივილი ისევე გვტკივა, როგორც საკუთარი! იმედი და მოლოდინი გვაქვს, რომ ვისაც აქვს პოლიტიკური რესურსი და საშუალება, მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს იმისკენ, რათა შეწყდეს სისხლისღვრა, დაძლეულ იქნას კრიზისი, პროცესები პოლიტიკური დიალოგის კალაპოტში გადავიდეს და ქვეყანაში აღდგეს უსაფრთხო, ნორმალური ცხოვრების რიტმი. ყველანი ვუსამძიმრებთ დაღუპულების ოჯახებს, მეგობრებს, მთლიანად უკრაინელ ხალხს... ვუსამძიმრებთ კიევში დაღუპული საქართველოს მოქალაქის ოჯახს... იმედია, უკრაინის ხელისუფლება შეისმენს მთელი დემოკრატიული სამყაროს მოწოდებას და უმოკლეს ვადებში მოახერხებს ამ სისხლიან დაპირისპირების შეჩერებას... გვჯერა, რომ ეს ლამაზი ქვეყანა სულ მალე დაუბრუნდება ნორმალური ცხოვრების რიტმს!“, – აცხადებს კალაძე. (ფრონტნიუსი)





# აი, თურმე რატომ ვერ იჭერენ ადეიშვილსა და დათა ახალაიას...

**ინტერვიუ „ექსპერტთა კლუბის“ წევრთან, პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძესთან:**

**— ბატონო ვაჟა, მერაბიშვილს 5 წელი მიესაჯა. „ნაცმოძრაობის“ ლიდერები კი აცხადებენ, რომ მოსამართლემ ზეწოლას ვერ გაუძლო. შესაძლოა, ეს განაჩენი გასაჩივრდეს, მაგრამ ახლა, როცა განაჩენი გამოტანილია, ალბათ, უპრიანი იქნებოდა მომხდარის პოლიტიკური შედეგებზე საუბარი.**

– ვფიქრობ, პოლიტიკური რადიკალიზმი ოპოზიციაში გადაბარგებული „ნაცმოძრაობის“ სტილი გახდა. ეს მეტყველებს, რომ მას საზოგადოებაში არ აქვს საკმარისი დასაყრდენი და არ შეუძლია ხელისუფლებისთვის სრულფასოვანი ოპონირების გაწევა. „ნაცმოძრაობას“ ძალიან ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული და მათი განცხადებები იმაზე მიანიშნებს, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში კათარზისი დაწყებული არ არის. ის ცდილობს, მოგვევლინოს ხალხის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური ძალის საპირწონე ძალად, მაგრამ ვინაიდან მათში კათარზისის პროცესი არ დაწყებულა, მათ უჭირთ თავისივე შეცდომების გაანალიზება, მათივე პოლიტიკა გაუაზრებელ ხასიათს ატარებს.

სწორედ ამას უკავშირდება მათი მხრიდან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ხისტი რეაგირება. მხედველობაში მაქვს მერაბიშვილსა და ჭიაბერაშვილის საქმეზე მათ მიერვე რეფორმირებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გაკეთებული განცხადებები.

**— საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პროკურატურა არ ინტერესდება წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების, ზურაბ ადეიშვილის, დათა ახალაიას, მეგისა ქარდავასა და სოსო თოფურიძის მიერ ჩადენილი ქმედებებით. ამ თემებზე სხვადასხვა აზრი გამოითქმის. თქვენი აზრით, რა შეიძლება ხდებოდეს?**

– პრინციპში, განსაკუთრებული არც არაფერი. დანაშაულები ჩადენილია და საზოგადოების წევრებს გვაქვს შინაგანი რწმენა, რომ წინა რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებები სისტემურ ხასიათს ატარებდა. უამრავ გადაცდომასა და უფრო მეტიც, კრიმინალს ჰქონდა ადგილი, რაც სამართლიან გამოძიებასა და ობიექტურ განაჩენს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ვიდრე პროკურატურასა და სასამართლოში ისევ ის ხალხი მუშაობს, რომელიც წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა პოლიტიკურ დავალებებს ასრულებდა და დანაშაულებს ჩადიოდა, ეს უწყებები სრულფასოვნად და გამართულად ვერ იმუშავებენ. შესაძლოა, ახალ მთავარ პროკურორს გულწრფელად უნდოდეს კიდეც ყველა დანაშაულში ეჭვმიტანილის საქმის ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება, მაგრამ მის ხელთ არსებული ადამიანური რესურსი, წინა ხელისუფლებიდან დარჩენილი თანამშრომლები, ამის საშუალებას არ მისცემენ. ჩემი აზრით, ეს ხდება და მეტი არც არაფერი. ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარებამ და ლეგალურ ოპოზიციად „ნაცმოძრაობის“ გამოცხადებამ ამ თვალსაზრისით უამრავი პრობლემა შექმნა.

**— ქუთაისისა და თბილისის საკრებულოებსა და მერიებში განვითარებულ პროცესებში წინა ხელისუფლება ახალს ადანაშაულებს და თვითმმართველობის არჩევნების წინ ოპონენტების დისკრედიტაციასა და პოლიტიკური ველის მოსუფთავებაში სდებს ბრალს. თქვენი აზრით, რეალურად რა ხდება?**

– ქუთაისშიც და დედაქალაქშიც პროცესი დაწყებულია. ამ ქალაქების საკრებულოები „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პროდუქტები იყვნენ. ქუთაისელმა და თბილისელმა „ნაციონალებმა“ ტრანსფორმაცია განიცადეს, მათ „ოცნების“ ხალხიც შეუერთდათ. ეს პროცესები „ნაციონალებთან“ დაკავშირებული პოლიტიკური ძალებისა და პიროვნებების მანევრირების შედეგია და ქუთაისისა და თბილისის მოსახლეობის ნების გამოხატულება. ის, რაც ხდება თვითმმართველობებში იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკური ძალები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადებიან. რაც შეეხება ბრალდებას პოლიტიკური ველის მოსუფთავების შესახებ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ამგვარ ბრალდებები სულ უფრო მეტად ხმამაღლა გაიჟღერებს, რაც არჩევნების თარიღი მოახლოვდება. მოგეხსენებათ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად სიტუაციებიც იძაბება და ვნებებიც მატულობს. ყველა თავისი ინტერესების ლობირებასა და სხვისთვის რაღაცის დაბრალებას იწყებს.

**— გვახსოვს, როგორ მოქმედებდა წინა ხელისუფლება არჩევნების პერიოდში რეგიონებში. ადგილობრივი მოსახლეობა კუდ-ისა და სოდ-ის მიერ ისე იყო ტერორიზებულ-დაშინებული. დავიჯეროთ, ამის მსგავსი რამ ხდება ახლა ქვეყანაში?**

– არა, ამის მსგავსი რამ ნამდვილად არ ხდება. ჩვენ საღად და რეალისტურად უნდა შევაფასოთ ის პოზიტივი, რაც ამ მოკლე დროშია მიღწეული. ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი, იგივე საარჩევნო გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული რომ არის, ეს ფაქტია. ამაღლდა კონკურენციის ხარისხი, მათ შორის პოლიტიკაში. იმედი მაქვს, რომ დემოკრატიის მსგავსი ერთპარტიული ავტორიტარიზმი თავისი „მოქკავშირით“ და „ნაცმოძრაობით“ წარსულს ჩაბარდება.

**— ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებს, 3%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ნახევარმილიონიან დაფინანსებას ჰპირდება. გაუგებარია, რატომ უნდა დააფინანსოს ბიუჯეტმა 3%-იანი პარტიები? ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და უმჯობესი არ იქნებოდა, ეს თანხები ეკონომიკის განვითარებას მოხმარებოდა?**

– იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკა ბიზნესია, ხოლო ბიზნესი პოლიტიკაა, სახელმწიფომ 3%-იანი ბარიერის გადამლახავი პარტიები უნდა დააფინანსოს. ზოგადად, პოლიტიკა ბიზნესი არ არის, მაგრამ სამართლიანი არჩევნების პირობებში 3%-იანი ბარიერის გადალახვა მხოლოდ იმ პარტიას შეუძლია, რომელსაც მოცემული ციკლისთვის „საქმეში“ უკვე ჩადებული აქვს, სულ მცირე, ორი მილიონი დოლარი. ამდენი თანხაა საჭირო ცენტრალური აპარატის, რეგიონული ორგანიზაციების პარტიული აქტივისა და ოფისების შესანახად, ფორუმების ორგანიზებისთვის, პიარაქტივობებისთვის. თუ პარტიამ ამდენი თანხა არ დახარჯა, ვერც ერთი პარტია 3 და 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავს. იმედი მაქვს, რომ საქართველოში წარსულს ჩაბარდება ქარიზმატული ლიდერების ეპოქა, როდესაც ამ ტიპის ლიდერის პარტიული სიის ლოკომოტივი იყო. ვფიქრობ, ეს ეპოქა ივანიშვილმა დაამთავრა. ამიტომ, თუ პარტიამ არჩევნებში მნიშვნელოვანი თანხები არ დახარჯა, ისე 3%-იან ბარიერს ვერ გადალახავს. ამგვარი პარტიის გადამლახავი დღევანდელ საქართველოში ორი, ან სამი პარტიაა. „ნაცმოძრაობა“, კოალიცია „ქართული ოცნება“, თუ არ დაიშლებიან და ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ თუ აქცენტირებულ სიჩუმეს უსასრულოდ არ გააგრძელებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მსახიობები აქციას გამართავენ



ეროვნული მუსიკალური ცენტრის შენობის წინ ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები აქციას გამართავენ.

თეატრის პიარმენეჯერის მზია მახნიაშვილის განცხადებით, კულტურის სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას შორის შექმნილმა საკანონმდებლო შეუთანხმებლობამ შესაძლოა, ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის 138-წლიანი თეატრი დაფინანსების გარეშე დატოვოს.

„ეს შეუთანხმებლობა უკვე მეორე წელია გრძელდება და მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი მიმართვისა კულტურის სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისადმი, თეატრს დღემდე გაურკვეველ მდგომარეობაში ამყოფებს. თეატრის ადმინისტრაციამ მრავალჯერ სცადა, მიეპყრო საზოგადოების ყურადღება ამ პრობლემისთვის, მაგრამ უშედეგოდ, სამწუხაროდ, ჩვენ სხვა გზა აღარ დაგვიტოვეს. თეატრის კოლექტივი იძულებულია, მოაწყოს გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია“, – აცხადებს მზია მახნიაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## 17-მა სამხედრო მოსამსახურის ოჯახმა მიიღო ბინა



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ვარკეთილის სამხედრო ქალაქში კიდევ 17-მა სამხედრო მოსამსახურის ოჯახმა მიიღო ბინა. ბინების გადასაცემად ვარკეთილში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, მისი მოადგილე ვაკო ავალიანი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე მივიდნენ.

მათ პირადად გადასცეს ახალი ბინების გასაღებები „აისაფის“ მისიის შესრულების დროს დაღუპული სამხედროს, I კლასის რიგითის, ზურაბ გურგენაშვილის ოჯახსა და 2008 წლის აგვისტოს ომში მძიმედ დაჭრილ სამხედროს, სერჟანტ ავთანდილ ჯაყელიძეს. მოგვიანებით, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირებმა საცხოვრებელი ფართები დაათვალიერეს და ახალ მესაკუთრეებს ბინების მიღება მიულოცეს.

„ჩვენი ვალდებულებაა, ხელი შევუწყოთ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს, რათა ისინი სოციალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ იმიტომ, რომ ისინი ასრულებენ ყველაზე დიდ საქმეს ჩვენი ქვეყნისთვის – იცავენ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საერთაშორისო იმიჯს და ჩვენ მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ასრულებენ“, – განაცხადა ალასანიამ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართველ სამხედროებსა და მათ ოჯახებს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად თბილისში, აბაშვილის ქ. №3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გადაეცათ. თავდაცვის, ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი კოორდინირებული მუშაობის შედეგად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მოხდა ყველა სათანადო დოკუმენტაციის სამართლებრივი მოწესრიგება და მომზადება. საცხოვრებელი ფართების ახალ მფლობელებს კანონის ყველა ნორმისა და წესის დაცვით ბინები პირად მფლობელობაში გადაეცათ.

ვარკეთილის სამხედრო ქალაქში მშენებლობა წელსაც გაგრძელდება და დამატებით 260 სამხედრო მოსამსახურის ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით. (ინტერპრესნიუსი)

# როგორ მოაგვარა ისრაელმა ის პრობლემა, რომელსაც საქართველო ვერ აგვარებს?

**როგორია საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალი, გვჭირდება თუ არა დიდი ჰესები და რეალურად რას ემსახურება გარემოს დაცვითი ორგანიზაციების პროტესტი? ამ საკითხებზე ისრაელის ელექტროკომპანიის საინჟინრო სამმართველოს უფროს ექსპერტ-ინჟინერს, დოქტორ გაბრიელ ჯინჯიხაშვილს ვესაუბრეთ:**


გაბრიელ ჯინჯიხაშვილი

**— ბატონო გაბრიელ, კარგად იცნობთ საქართველოს ენერგეტიკას. რას ფიქრობთ, რა ენერგეტიკული სტრატეგია უნდა აირჩიოს ჩვენმა ქვეყანამ?**

– უპირველეს ყოვლისა, საქართველომ უნდა განაგრძოს ელექტროენერგიის წარმოება. 1990 წელს ჩვენ გვქონდა 16 მლრდ. კვტ.სთ გამომუშავება და 2000 წლისთვის დაგეგმილი იყო 20 მილიარდი. საქართველო ამჟამად სულ რაღაც 9-10 მილიარდს აწარმოებს, რაც ძალიან ცოტაა. ღმერთმა ქნას და ჩვენ ამის დიდი იმედი გვაქვს, რომ ქვეყანაში მალე განვითარდება მრეწველობა და მოხდება ეკონომიკის გაუმჯობესება. ამ დროს კი აღმოჩნდება, რომ ელექტროენერგია საკმარისი არ გვაქვს. საქართველოს ძალიან ცოტა ელექტროენერგია აქვს, თითო სულ მოსახლეზე ბევრად ნაკლები, ვიდრე ეს ისრაელშია. ჩვენთან ისრაელში ვაწარმოებთ 60 მლრდ კვტ.სთ.-ს 8 მილიონ მოსახლეზე და საქართველოს უნდა ჰქონდეს დღეს დაახლოებით 30 მილიარდი, რამდენადაც მოსახლეობა დაახლოებით 4 მილიონია. რეალურად კი, როგორც გითხარით, ქვეყანა 9-10 მილიარდზე მეტს ვერ აწარმოებს. ამიტომ ქვეყნის ნომერი პირველი სტრატეგია მეტი ენერგიის გამომუშავება და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარება უნდა გახდეს. მეორე საკითხია, როგორ უნდა მოხდეს ამ ენერგიის გამომუშავება. საკუთარი საწვავი საქართველოს არ აქვს, გარდა ძალიან ცუდი ხარისხის ნახშირისა, რომელიც სჯობია, საერთოდ არ გამოიყენო. გვრჩება ჰიდრორესურსი.

**— დიდი ჰესების მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. „მწვანეები" მუდმივად აპროტესტებენ ნებისმიერი ჰიდროენერგეტიკული ობიექტის მშენებლობას. ისრაელში რა მდგომარეობაა, ამ მხრივ?**

– იცით, როდესაც ვუსმენ ქართულ ტელეარხებს, უბრალოდ, ჭკუიდან ვიშლები. ნორვეგიაში ელექტროენერგიის 90% არის ჰიდრო. რა თქმა უნდა, კაშხლების მშენებლობა აზიანებს ნორვეგიის ეკოლოგიას, მაგრამ პოულობენ ისეთ საინჟინრო სქემებს, რომ დაზიანება და ჩარევა მინიმალური იყოს. რა გახდა ეს მუდმივი და დაუსრულებელი აჟიოტაჟი ამ ხუდონზე. რაც თავი მახსოვს, სულ ასეა. მშვენიერი სქემა არსებობდა ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან.

საერთოდ, მიკვირს ამ „მწვანეთა" ორგანიზაციების აქტივობა ხუდონზე, იმ დროს, როდესაც თბოსადგურებზე ხმას არ იღებენ. გარდაბანში, თბილისის მახლობლად რომ თბოელექტროსადგურის აშენებას აპირებენ, გარემოს დამცველი ორგანიზაციები ამაზე დუმან. ნახშირის ბლოკი სუფთა მავნებლობაა, ასევეა გაზის ბლოკი, ისიც პრობლემურია გამონაბოლქვის თვალსაზრისით. მათი გაწმენდისთვის ისრაელი უძვირეს ტექნოლოგიებს იყენებს, საკითხავია გარემოს დამცველები ინტერესდებიან, ინერგება თუ არა ეს ტექნოლოგიები საქართველოში? საშინელებაა გამონაბოლქვი გაზები თბილისისთვის, გარდაბნისთვის, რუსთავისთვის. აი, ეს შენდება, დიდის ამბით შექმნილია აჟიოტაჟი, რომ იქნებ ვინმემ ფული ჩაუდოს ამ უბედურების აშენებაში და დაწამლოს მილიონობით ადამიანი. სად არიან ამ დროს მწვანე ორგანიზაციები, რატომ არ გვესმის მათი პროტესტი ამ საკითხზე? რას გადაეკიდნენ ამ ჰიდროენერგიას, ბუნებაში ასეთი სუფთა ენერგია არ არსებობს. მიკვირს ამ ხალხის პოზიცია, ალბათ, რაღაც ინტერესებია ან სიღრმისეულად არ ესმით მისი მნიშვნელობა.



ერთი რჩევა მექნება, ამ მწვანე პარტიებმა და ეკოლოგებმა დაანებონ თავი ჰიდროენერგეტიკას. კაცო, ნაგავსაყრელებზე ეგენი არ მინახავს, გამონაბოლქვებზე და გარემოს დაბინძურება მაგათ არ გაუპროტესტებიათ. ეს ამბავი არ აწუხებთ, აწუხებთ მარტო ხუდონი და ნებისმიერი ჰიდროენერგეტიკული პროექტი. საკუთარი ენერგია უფრო აქტუალურ საკითხებს მოახმარონ, არ სჯობია? საქართველოს ენერგეტიკოსებმა ძალიან კარგად იციან თავისი საქმე და ააშენებენ ამ ჰესს მინიმალური ზიანის მიყენებით გარემოზე.

**— საქართველოში ბევრს საუბრობენ მზისა და ქარის ენერგიის გამოყენება- ათვისებაზე, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ისრაელს ამ მიმართულებითაც დიდი გამოცდილება გააჩნია. რა იქნება თქვენი რჩევა-რეკომენდაცია საქართველოსთვის?**

– მოდით, უფრო რეალურად შევხედოთ ვითარებას, რამდენი ჯდება მზისა და ქარის ენერგია? ჰიდროენერგია განსხვავდება იმით, რომ თქვენ შეგიძლიათ, ენერგიის დიდი ნაკადი შექმნათ მაშინ, როცა გჭირდებათ, ქარისა და მზის ენერგია კი არის მაშინ, როცა ბუნებას უნდა. იმისთვის რომ თქვენ გქონდეთ სისტემაში ჩართული ქარისა და მზის დანადგარები, უპირველეს ყოვლისა, უნდა გქონდეთ „სმარტ გრიდი" (მაღალტექნოლოგიური ქსელები), ანუ მთელი თქვენი ელექტროსისტემა უნდა იყოს ისეთნაირად აგებული, რომ შეძლოს იმ ელექტროენერგიის მიღება. ხომ წარმოგიდგენიათ, ქარმა ცოტაც რომ შეიცვალოს მიმართულება, ენერგიის გარეშე რჩებით. ეს არის ძალიან კარგი, მაგრამ არ არის დიდი რესურსი. სერიოზული რესურსი არის ან თბოენერგეტიკა ან ჰიდროენერგეტიკა. თბოენერგეტიკას აქვს დიდი პრობლემები ეკოლოგიის მხრივ, იწვევს გლობალურ დათბობას, გარდა მაგისა სხვადასხვა გამონაბოლქვი გაზები საფრთხეა ეკოლოგიისთვის. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ბუნებრივ აირზე მისი წვის გამონაბოლქვი ნაკლები პრობლემაა, ვიდრე ნახშირის, მაგრამ, მასაც აქვს პრობლემები და თანაც არ აქვს ეს გაზი საქართველოს.

ჩემი მეგობარი, რომელიც ექსპერტია ქარის ენერგეტიკის დარგში, ნამყოფია საქართველოში და ვკითხე, რა პერსპექტივა აქვს ამის აშენებას საქართველოში და რამდენად იყავით მზად, რომ ხელი მოგეწერათ მათთან ხელშეკრულებაზე. მან მიპასუხა, თუ 20 წლით მოგვიწერენ ხელს და 11 ცენტად იყიდიან კილოვატ/საათს, ჩვენ შეგვიძლია ავუშენოთ 80-მეგავატიანი სადგურიო. ძალიან კარგია, ეს უნდა გაკეთდეს, მაგრამ ძვირია, საქართველოს გაუჭირდება ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და მეორეც 80 მეგავატი არ წყვეტს ენერგიის დეფიციტის პრობლემას. გარდა ამისა, ეს 80 გექნება მაშინ, როდესაც ქარი დაუბერავს და არა მაშინ, როდესაც ენერგია დაგჭირდება. *(ჯი-ეიჩ-ენი)*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაცია იწყება

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის და პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაცია 20 თებერვალს, 12:00 საათიდან დაიწყება და 21 მარტის 18:00 საათამდე გაგრძელდება.

2014 წელს მსურველებმა რეგისტრაცია ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე უნდა გაიარონ (www.naec.ge; online.naec.ge); იქვე განთავსდება რეგისტრაციის დეტალური ინსტრუქცია.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, რეგისტრაციის პირველ ეტაპზე, რომლის ხანგრძლივობა ერთი თვეა, აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი, მიუთითოს ქალაქი და ენა, რომელზეც სურს გამოცდის ჩაბარება – ეს ინფორმაცია ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ შეიცვლება;

2014 წელს აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, რამდენიმე თვის განმავლობაში ცვალონ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამები (ფაკულტეტები), მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა. ცვლილებების განხორციელების საშუალება აბიტურიენტებს გამოცდის შედეგის გამოცხადების შემდეგაც ექნებათ. პროცესი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებასთან ერთად შეწყდება.

ცენტრის ცნობით, სახელმწიფო წელსაც დააფინანსებს ბაკალავრიატის გარკვეულ მიმართულებებს (შესაბამის პროგრამებზე ჩარიცხულები ისწავლიან უფასოდ). სასწავლებლებისა და მიმართულებების (პროგრამების) ნუსხა გამოქვეყნდება დამტკიცებისთანავე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (www.mes.gov.ge) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (www.naec.ge) ვებგვერდებზე. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მიგრაციის სამსახური მარტში შეიქმნება



მიგრაციის სამსახური მარტში შეიქმნება. მიმდინარეობს არალეგალ მიგრანტთა განთავსების ცენტრის მშენებლობა, რომელიც სექტემბრამდე დასრულდება. შს მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას თქმით, არალეგალ მიგრანტთა განთავსების ცენტრი თბილისში შენდება, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის განკუთვნილ კორპუსებთან ახლოს.

„მარტში აპირებს ჩამოსვლას სადამკვირვებლო მისია, რათა პროცესს მონიტორინგი გაუწიოს. ჩვენ ამ მისიას დავპირდით, რომ სამსახური მარტში შეიქმნებოდა და დანაპირებს ვასრულებთ. შეიქმნება მთავარი სამმართველო და ამ სამმართველოს ერთ-ერთი სტუქტურული რგოლი განთავსების ცენტრი იქნება. ის უცხოური გამოცდილებისა და სტანდარტების გათვალისწინებით იქმნება", – განაცხადა იზორიამ.

საქართველოში უცხოელთა ყოფნის საფუძვლები, ვიზისა და ბინადრობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებული პროცედურები, ასევე, საქართველოდან უცხოელთა გაძევების საფუძვლები და პროცედურები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონპროექტით მთლიანად გადაიხედა. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისსა და კახეთში ვადაგასული სურსათი ამოიღეს

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისსა და კახეთის რეგიონში დიდი რაოდენობით ვადაგასული სურსათი ამოიღო და ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის ბიზნესოპერატორები 400 ლარით დააჯარიმა.

სააგენტოს ცნობით, თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ლადო ასათიანის ქუჩაზე – ი/მ „დარეჯან ელიაშვილის" მარკეტიდან, თემქაზე – შპს „მემოდან", ქეთევან წამებულის გამზირზე – შპს „ფურშეტ ჯორჯიას" სუპერმარკეტიდან ამოიღეს სხვადასხვა დასახელების ხორცპროდუქტი, ძეხვი, პაშტეტი, ხინკალი, კარაქი, სოკოს ბლინი, ფენოვანი ცომი, ქათამი, ქათმის კატლეტი, ყავა. ვადაგასული სურსათი კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდა.

გარდა ამისა, აღნიშნული სუპერმარკეტები და ქიქოძის ქუჩაზე მდებარე შპს „ლიზი-1" ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის დაჯარიმდნენ 400 ლარით.

სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ვადაგასული სურსათი ასევე ამოიღეს ლაგოდეხში (ი/მ „მაკა ალავერდაშვილი"); გურჯაანში (ი/მ „ლუდმილა ზირაქაშვილი"); ყვარელში („ნაირა გიგაშვილი"); ახმეტაში (ი/მ „ლილი იჩიურიძე", ი/მ „ნათია მიქელაძე", ი/მ „ხრისტო კაძიკიძე", ი/მ „ნაილი ფარეულიძე", ი/მ „თამარ კონჭოშვილი").

კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდა სხვადასხვა დასახელების ლუდი, ლიმონათი და სხვა უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი, თევზის კონსერვი, ბარდა, ორცხობილა, მაიონეზი, იოგურტი, სოკოს მარინადი, შოკოლადი, შესქელებული რძე.

ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის დაჯარიმდნენ: გურჯაანში – შპს „ნიკორა კახეთი", ი/მ „ბადრი ბერიკაშვილი" და ი/მ „გოჩა ბაზერაშვილი"; ყვარელში – ს/ს „სმარტი"; საგარეჯოში – ი/მ „დავით გოცირიძე", ი/მ „ლიანა აფციაური"; თელავში – შპს „ჯიბე".

სურსათის ეროვნული სააგენტო ახსენებს ბიზნესოპერატორებს, რომ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74-ე პრიმა მუხლის თანახმად, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ეტიკეტირების წესის დარღვევა ითვალისწინებს ჯარიმას 400 ლარის ოდენობით. (ინტერპრესნიუსი)

## თეთრ ავტომობილს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია



მართალია, შავი და ვერცხლისფერი ავტომობილები გაცილებით პოპულარულია, მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის ყველაზე უსაფრთხო თეთრი ფერის მანქანაა.

გერმანელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ თეთრ ავტომობილებს გაცილებით იშვიათად ეჯახება სხვა ტრანსპორტი. განსაკუთრებით, ცუდი მხედველობის პირობებში. ყველაზე ნაკლებად შესამჩნევი ცუდი განათებისას და მზის სიკაშკაშეზე შავი მანქანები მოჩანს, შემდეგია ვერცხლისფერი.

საერთოდ, ავარიების შემთხვევების სტატისტიკა მთელი მსოფლიოდან იმაზე მეტყველებს, რომ საგზაო შემთხვევები ავტომობილების მუქ ფერებს უკავშირდება. ნათელი ფერები, როგორიცაა თეთრი და ყვითელი, კარგად ირეკლავენ სინათლეს და მანქანას საკმაოდ შორი მანძილიდანაც კი ხდიან შესამჩნევს.

გერმანელების პარალელურად, მსგავსი შინაარსის კვლევა ჩაატარეს შვედმა მეცნიერებმაც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ყველაზე უსაფრთხო ვარდისფერი ავტომობილებია, ხოლო ავსტრალიელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ, ამ მხრივ, ლიდერია თეთრი ფერის მანქანა, რომელიც ავარიებში 12 პროცენტით იშვიათად ხვდება.

***pronowosti.ru***

## შექმნილია საკვებად ვარგისი... პარფიუმერია



სავაჭრო მარკა „ლუსი მაკრეიმ“ უნიკალური პარფიუმის შექმნა დააანონსა, რომელიც... იჭმევა.

ცნობილი ხდება, რომ პარფიუმი ბიოლოგების დახმარებით შეიქმნა და იგი განსაზღვრულია არა გარე, არამედ შიდა გამოყენებისთვის.

რას ნიშნავს „პარფიუმი შიდა გამოყენებისთვის“? ახლავე ყველაფერს აგიხსნით: მისი მოქმედების პრინციპი საკმაოდ ორიგინალურია. კერძოდ, დილას, სამსახურში გასვლამდე, ადამიანმა ერთი კაფსულა უნდა გადაყლაპოს, რომელიც უნიკალურ შენაერთებს შეიცავს. ნივთიერებათა ცვლის შედეგად, ხდება არომატული ნივთიერებების გამომუშავება, რომლებიც კანის ფორებიდან ნელ-ნელა იწყებს გამოსვლას. ამის წყალობით, დეზოდორანტებისა და ტუალეტის წყლის რეგულარული გამოყენება საჭირო აღარ იქნება.



ამასთანავე, როგორც სიახლის ავტორები ამტკიცებენ, თითოეულ მომხმარებელს სხვადასხვანაირი სასიამოვნო სუნი ექნება, რადგან კაფსულაში შემავალი ნივთიერებები ადამიანის უნიკალურ სეკრეციებს ერევა. შედეგად, წარმოიქმნება არომატი, რომელსაც ანალოგი, უბრალოდ, არ გააჩნია.

პარფიუმის კიდევ ერთი უნიკალური თვისება სუნის ინტენსივობას უკავშირდება. კერძოდ, იმის გამო, რომ ის კანის ფორებიდან ოფლთან ერთად გამოდის, როცა ადამიანი ფიზიკურად პასიურ მდგომარეობაში იქნება, სუნი თითქმის შეუმჩნეველი გახდება. სამაგიეროდ, აქტიური მოძრაობებისას პარფიუმი ძალიან სასიამოვნო სურნელს დააყენებს.

ამ დროისთვის პარფიუმის ლაბორატორიული გამოკვლევები უკვე დასრულებულია, თუმცა როდის გამოჩნდება ბაზარზე, უცნობია.

***dama.info***

## ჩინეთი გაქრება, როგორც ვენეცია



მართალია, ჯერ არც ვენეცია დაუკარგავს იტალიას, თუმცა პროგნოზები რომ არასახარბიელოა მის შემთხვევაში, ალბათ, კი გაქვთ გაგონილი.

ჰოდა, ახლა ჩინეთს დაუსახეს არც თუ სახარბიელო პერსპექტივები: ვენეციის პარალელურად, მასაც ძალიან დიდი საფრთხე ემუქრება, რომ უახლოეს ათწლეულებში განადგურდეს და გაქრეს.

სპეციალისტები მიზეზად იმას ასახელებენ, რომ წყალქვეშა წყლების ძალიან აქტიური გამოყენება ხდება.

ჩინეთის მიწისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნით, 50-მდე ქალაქს უკვე აქვს ძალიან სერიოზული პრობლემები. კერძოდ, მიწის ქვეშ აღმოჩენის პერსპექტივა დაახლოებით 80 ათას კვადრატულ კილომეტრს გაუჩნდა. ყველაზე დიდი საფრთხეები ემუქრება ქალაქებს: სიანე, პეკინი, ჰანჩჟოუ, ტიანცზინი.

***vesti.ru***

## გერმანიაში ბავშვებისთვის საშიში სახელების რეგისტრაციაზე უარს ამბობენ



არც გვესმის და არც გვინდა, გავუგოთ ისეთ მშობლებს, ვინც საკუთარ შვილებს ძალიან უცნაურ სახელებს არქმევს. მოგეხსენებათ, ასეთები საქართველოშიც საკმაოზე მეტად ბევრია და ჩამოთვლას აღარ დავიწყებთ. უბრალოდ, გერმანიის მაგალითზე მოგიყვებით, სადაც ადგილობრივმა უწყებებმა გადაწყვიტეს, არ დაარეგისტრირონ ისეთი სახელები, რომლებსაც ბავშვისთვის ზიანის მიყენება შეუძლია.

მაგალითად, გოგონა, რომლისთვისაც მშობლებს ემილი-ექსტრას დარქმევა სურდათ, მთელი წლის მანძილზე უსახელოდ რჩებოდა, სანამ დედ-მამამ სასამართლოს არ მიმართა და განსაკუთრებული ნებართვა არ მიიღო. საქმე ისაა, რომ შესაბამის გერმანულ უწყებებს აქვთ სრული უფლება, უჩვეულო სახელები არ დაარეგისტრირონ.

თურმე, გერმანიას არ აქვს კონკრეტული კანონი, როგორ უნდა შეურჩიონ მშობლებმა თავიანთ შვილებს სახელები, თუმცა არსებობს არაერთი დირექტივა. მათ შორის, ყველაზე მთავარი მოთხოვნაა, რომ სახელმა ბავშვის კეთილდღეობასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ზიანი არ უნდა მიაყენოს. გარდა ამისა, რეკომენდებულია ისეთი სახელების შერჩევა, რომელიც ბავშვის სქესზე ინფორმაციას იძლევა.

თითოეული შესაბამისი უწყება დამოუკიდებლად წყვეტს, რომელი სახელი დაარეგისტრიროს და რომელი – არა. მაგალითად, ლაიპციგში უარს ამბობენ ისეთი სახელების დარეგისტრირებაზე, როგორებიცაა: ქრეიზი, ჰორზ, ვისკი, იოგურტი, მილენიუმი, სტომატისი, იანვარი, პორშე, ბორუსია, გრამოფონი, სატანა, სპუტნიკი, მაკდონალდსი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. გასაკვირია, მაგრამ ყველა ამ სახელზე ლაიპციგში მშობლების მოთხოვნა ყოფილა, თუმცა, საბედნიეროდ, მათ სასტიკი უარი მიიღეს.

***lb.ua***

## კომპიუტერთან მუშაობა ნაოჭების გაჩენის მიზეზიც ხდება



ალბათ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი უსიამოვნებაა მათ შორის, რომელთა გამოწვევაც კომპიუტერს შეუძლია. თუმცა რადგან საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა ასეთი საკითხიც წამოჭრეს, ჩვენც, უბრალოდ, გაგაფრთხილებთ.

– კომპიუტერი ვნებს არა მხოლოდ მხედველობასა და ხერხემალს, არამედ ადრეულ ასაკში ნაოჭების გაჩენაც შეუძლია, – ასეთი დასკვნა ბრიტანელმა კოსმეტოლოგებმა გამოიტანეს.

მათ ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი მოითხოვს დახმარებას სიბერის ნიშნების დროზე ბევრად ადრე გაჩენის გამო. რაც მთავარია, ყველა ასეთი პაციენტი კომპიუტერთან საკმაოზე მეტად დიდ დროს ატარებს.

სპეციალისტებმა ამ პრობლემას „კომპიუტერული სახე“ დაარქვეს და განმარტავენ, რომ მონიტორთან მუდმივად ახლოს ჯდომის გამო, სახეზე ჩნდება ნაოჭები, ორმაგი ნიკაპი, სივდება ქვედა წამწამები.

ამ ყველაფრის მიზეზია კომპიუტერთან მჯდომი ადამიანის არასწორი პოზა. გარდა ამისა, ინფორმაციის კითხვისას თუ, უბრალოდ, საიტების თვალიერებისას, ადამიანი მიმიკით რეაგირებს, რაც ხდება კიდეც ადრეული ნაოჭების გაჩენის მიზეზი.

მოსაზრების ავტორები აკონკრეტებენ, რომ ჩვეულებრივ, აღნიშნული პრობლემა მშვენიერ სქესს აწუხებს, თუმცა არც მამაკაცები არიან უკეთეს მდგომარეობაში.

***myjane.ru***

## კომპიუტერული ტომოგრაფია ჭარბწონიან პაციენტებს დიდ ზიანს აყენებს



იმისთვის, რათა კომპიუტერული ტომოგრაფია ნორმალურად ჩატარდეს ჭარბი წონის მქონე პაციენტისთვის, ჩვეულებრივ, რენტგენული დასხივების ძალიან დიდი დოზებია საჭირო. აქედან გამომდინარე, სპეციალისტები დაფიქრდნენ: აყენებს თუ არა პროცედურა ადამიანს ზიანს?

ამისთვის ამერიკელმა მეცნიერებმა რენსელაერის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან განსხვავებული სხეულების კომპიუტერული მოდელები შექმნეს. ზოგიერთი მოდელი ნორმალური წონის მქონე ადამიანისას შეესაბამებოდა, ზოგიერთი კი – ჭარბწონიანებისას. შემდეგ უკვე ეს მოდელები პროგრამაში შეიყვანეს და მათზე რადიაციული დასხივების სიმულაციური ეფექტი მოახდინეს.

აღმოჩნდა, რომ კომპიუტერული ტომოგრაფია ფუმფულა პაციენტების შინაგან ორგანოები რადიაციას მთელი 62 პროცენტით მაღალი დოზით იღებენ. ეს მამაკაცების შემთხვევაში, ჭარბწონიანი ქალების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 59 პროცენტს შეადგენს.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ პროცედურა კიბოს გაჩენის რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. კერძოდ, როგორც სპეციალისტებმა გამოითვალეს, ჭარბწონიან ადამიანებში ონკოლოგიური დაავადებების გაჩენის რისკი 60 პროცენტით მაღალია.

***medkarta.com***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. მისი დედაქალაქია ათენი
2. მსახიობი ... კრუსი
3. ადამიანი ხარის თავით
4. ფასიანი ქაღალდი
5. ქალაქი გურიაში
6. შინაური ფრინველი
7. ნახატების გამოფენა
8. რეჟისორი ... ლი
9. გულმკერდის ძვალი
10. მამაკაცის სასიმღერო ხმა
11. დიუმა-შვილი. „ქალი ... “
12. ბერძნული მითების გმირი
13. ადმირალი ჰორაციო ...
14. კომპოზიტორი მიშელ ...
15. წყალქვეშ სასუნთქი მოწყობილობა
16. თმის შეჭრის სტილი
17. ქალაქი ჩეხეთში
18. მომღერალი ... მარტინი
19. იუმორისტი ... ლომთაძე
20. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
21. ჰიპოპოტამი
22. მონღოლური ფულის ერთეული
23. ქალის სასტუმრო ოთახი ძველად
24. ქალაქი იაპონიაში
25. შინაური პირუტყვი
26. ბანდეროლი
27. ზამთრის სპორტის სახეობა
28. ნახატი კედელზე
29. კუნძული ინდონეზიაში
30. სახის ნაწილი
31. ჟან დიუჟარდენი ფილმში
32. მოჭადრაკე მიხეილ ...
33. მომღერალი ეკა ...
34. მამალი თხა
35. ლითონის ჭურჭელი აირისათვის
36. დახურვა, გაუქმება
37. სოფელი ხაშურის რაიონში
38. გიტარის კორპუსის დეტალი
39. მსახიობი ... სორვინო
40. მსახიობი ... გაბენი
41. ღამის ფრინველი
42. მსახიობი ანუკ ...
43. სახელოს მიკერების ფასონი
44. ტალახით მკურნალობის მეთოდი
45. ქორეოგრაფი მარის ...
46. მსახ. ... ჯიგარხანიანი
47. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
48. მწვანე ადგილი უდაბნოში
49. ფეხბურთელი გოჩა ...
50. ყმაწვილი კაცი
51. ცისარტყელას ფერი
52. პერიოდული ლიტერატ. გამოცემა
53. აფრა
54. მსახიობი პოლ ...
55. ომში ჩაძირული სულგუნი
56. მსახიობი ... ჟირარდო
57. ბრაზილიური ცეკვა
58. „... ვხედავ მზეს“
59. შარმი, მომხიბვლელობა
60. მსახიობი ფანი ...
61. მსახიობი ჯულია ...
62. კატა ... შესწვდა ძეხვსაო
63. სავაჭრო სახლი ძველ თბილისში
64. ვაქცინაცია
65. ესპანეთის დედაქალაქი
66. ზღვის დიდი კიბორჩხალა
67. სასამართლოში: ... მსაჯული
68. მსახიობი ალისა ...
69. მსახიობი ... დიტრიხი
70. მხ/ფ „... გული“
71. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი ...
72. „დათა თუთაშხია“ დოდო აბაშიძე
73. შარლ პეროს ზღაპარი
74. სია, ანუ ...
75. სადაზღვევო კომპანია
76. სფეროს ფორმის ტყვიები
77. დაბადების მოწმობა
78. რეჟისორი ფრანსუა ...
79. მომღერალი კრისტინა ...
80. პორტუგალიის დედაქალაქი
81. მდინარე კახეთში
82. დიეზი, ბემოლი და ...
83. ორსახა ღმერთი
84. ქვიშა
85. ჰიპოკრატეს ...
86. უსწორმასწორო, ანუ ...
87. „... ჭკუისაგან“
88. ექსპრეზიდენტი აბრაამ ...
89. პოეტი ქალი ... ლესბოსელი
90. ბელორუსიის დედაქალაქი
91. ტელესპექტაკლი „... ბიგვა“
92. მდინარე ინდოეთში
93. ამერიკელების მეტსახელი
94. პარადი, ანუ ...
95. მწერალი ... ქიაჩელი
96. საღამოს ჩამობნელება
97. ... მტრობას დაუნგრევია
98. ძვირფასი ქვა
99. ანტილოპას სახეობა
100. მწერალი დუტუ ...
101. მწერალი ... ჭონქაძე
102. რომის იმპერატორი
103. წყალ-ქვეშა კლდე
104. ბოსტნეული
105. სახლის გადასახურავი ბალანი
106. ვიოლინოს ჯოხი
107. ბილიარდის ჯოხი
108. უნგრელი მხატვარი მიხაი ...
109. თევზის ჯიში
110. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
111. ცელქი
112. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
113. მულტიმაგნატი არისტოტელე ...
114. „პრინცესა მარცვალზე“
115. ზღვის მტაცებელი თევზი
116. არქიტექტურული სტილი
117. ბალეტი „გედების ...“
118. იგავი „მგელი და ...“
119. შინაური ცხოველი
120. მადონა ფილმში
121. ჭრილობა
122. ბავშვის კბილი
123. ბარდი ვლადიმერ ...
124. რძის პროდუქტი
125. რეპტილია
126. მთათა სისტემა ევროპაში
127. აწჩხლი
128. მოკლე, უვადო ხმალი
129. სადაც გემებს არემონტებენ
130. ლორის ნაშიერი
131. ინტუიცია
132. მახრჩობელა გველი
133. კუთხის საზომი ერთეული
134. „კილიმანჯაროს თოვლიანი ...“
135. სამშენებლო მასალა
136. ქრისტიანული სიმბოლიკა
137. მიწის ფართობის ერთეული
138. ბედი
139. მამათა დიდი მონასტერი
140. ებრაული ენა
141. მდინარე ორინოკოს ველი
142. ცხენის უკანა ნაწილი
143. „... მონტე-კრისტო“
144. მსახიობი ... რაიანი
145. უნგრელი კომპოზიტორი
146. სომხური გვარის ნაწილაკი
147. ნიშნავს ჩირქოვანს
148. ცეცხლის ენა
149. ... ჰო, ... არა
150. ჯამის ფორმის სასმისი
151. დირიჟორი ნიკა ...
152. ცხენბურთი



პასუხები: 1. საბერძნეთი; 2. პენელოპა; 3. მინოტავრი; 4. ობლიგაცია; 5. ოზურგეთი; 6. ინდაური; 7. ვერნისაჟი; 8. ენგ; 9. ნეკნი; 10. ბარიტონი; 11. კამელიებით; 12. ჰერაკლე; 13. ნელსონი; 14. ლეგრანი; 15. აკვალანგი; 16. კარე; 17. ბრნო; 18. რიკი; 19. ოთო; 20. ლილუ; 21. ბეჰემოთი; 22. ტუგრიკი; 23. ბუდუარი; 24. კიოტო; 25. ძროხა; 26. ამანათი; 27. ბიათლონი; 28.. პანო; 29. იავა; 30. ყბა; 31. „არტისტი“; 32. ტალი; 33. მამალაძე; 34. ვაცი; 35. ბალონი; 36. ლიკვიდაცია; 37. ოსიაური; 38. დეკა; 39. მირა; 40. ჟან; 41. ბუ; 42. ემე; 43. რეგლანი; 44. ბალნეოლოგია; 45. ლიეპა; 46. არმენ; 47. ომეგა; 48. ოაზისი; 49. გავაშელი; 50. ჯეელი; 51. იისფერი; 52. ალმანახი; 53. იალქანი; 54. ნიუმენი; 55. ელარჯი; 56. ანი; 57. „სამბა“; 58. მე; 59. ქარიზმა; 60. არდანი; 61. რობერტსი; 62. ვერ; 63. ქარვასლა; 64. აცრა; 65. მადრიდი; 66. ომარი; 67. ნაფიცი; 68. ფრეინდლიხი; 69. მარლენ; 70. მამაცი; 71. თავითაო; 72. სეთური; 73. „კონკია“; 74. რეესტრი; 75. „ალდაგი“; 76. საფანტი; 77. მეტრიკა; 78. ტრიუფო; 79. აგილერა; 80. ლისაბონი; 81. იორი; 82. ბეკარი; 83. იანუსი; 84. სილა; 85. ფიცი; 86. ოღროჩოღრო; 87. ვაი; 88. ლინკოლნი; 89. საფო; 90. მინსკი; 91. გვადი; 92. ინდი; 93. იანკი; 94. აღლუმი; 95. ლეო; 96. ბინდი; 97. რაც; 98. ამეთვისტო; 99. გნუ; 100. მეგრელი; 101. დანიელ; 102. ნერონი; 103. რიფი; 104. ნიორი; 105. ისლი; 106. ხემი; 107. კიი; 108. ზიჩი; 109. ორაგული; 110. ვერდი; 111. ანცი; 112. ათი; 113. ონასისი; 114. ცერცვის; 115. ზვიგენი; 116. როკოკო; 117. ტბა; 118. კრავი; 119. ღორი; 120. „ევიტა“; 121. იარა; 122. კიჭი; 123. ვისოცკი; 124. დო; 125. კუ; 126. ალპები; 127. ავი; 128. გორდა; 129. დოკი; 130. გოჭი; 131. ალღო; 132. ბოა; 133. გრადუსი; 134. მთა; 135. გაჯი; 136. ჯვარი; 137. არი; 138. სვე; 139. ლავრა; 140. ივრითი; 141. ლიანოსი; 142. გავა; 143. გრაფი; 144. მეგ; 145. ლისტი; 146. ტერ; 147. პიო; 148. ალი; 149. ან; 150. ფიალა; 151. რაჭველი; 152. პოლო. იკითხება: ვივიენ ლი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ავქსენტი ცაგარელის პიესა
2. იაპონური თეატრი
3. შებოლილი რონცი
4. მსახიობი ... უჩანეიშვილი
5. ინდიელის ფეხსაცმელი
6. ებრაული საკულტო ტაძარი
7. იგავის დასკვნა
8. ჟურნალისტი ... ლაზაშვილი
9. გულიანი კანფეტი
10. ძროხის წინაპარი
11. მხატვარი მიხაი ...
12. კომპოზიტორი ენიო ...
13. ძაღლების სპეციალისტი
14. სოფელი ოზურგეთის რაიონში
15. რუსი მხედართმთავარი
16. ფრინველების მახე
17. აზრი
18. მსახიობი სტივენ ...
19. სანელებელი
20. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
21. ალპური ყვავილი
22. ტკბილი კარტოფილი
23. იტალიის კუნძული
24. საოპერო პარტია
25. ჭაობის მცენარე
26. ქალაქი ხოშიმინი ძველად
27. მალევიჩი. „შავი ...“
28. უქოჩრო თუთიყუში
29. ... ამაღლობელი
30. პურის დასაბრაწი ხელსაწყო
31. ბერძნული ცეკვა
32. ოპერის წამყვანი მომღერალი ქალი
33. მეფის მხლებლები
34. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. მოთხრობა
35. ღობე
36. მსახ. ... თაყაიშვილი
37. საფეხმავლო გზა
38. საწარმოს ხელმძღვანელი
39. აუქციონზე გატანილი ნივთი
40. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
41. მხ/ფ „... ტბა“
42. საესტრადო ინსტრუმენტი
43. მეტამორფოზის ბოლო სტადია
44. ნარკოტიკული ნივთიერება
45. ... შეიქმს სიყვარულსა
46. ერთიანი ნარდში
47. მსახიობი ... პაჩინო
48. ბოსტნის საფრთხობელა
49. საბავშვო მეზღვ. კოსტიუმი
50. ხორთუმიანი ცხოველი
51. ყვავილი
52. დაბა სვანეთში
53. ჰოკეის რეზინის ბურთი
54. თვითმფრინავის ფანჯარა
55. მტერზე დანებება
56. ... ხაჩატურიანი
57. რუს მეფეთა დინასტია
58. ჯეიმს კამერონის ფილმი
59. ... გათეთრებულის ყორანი
60. „ბასკერვილების ...“
61. ლოქო
62. რკინიგზის ხაზი
63. თევზის წნიანი
64. მსახიობი ... პაპასი
65. ხორვატიის დედაქალაქი
66. ქართული საესტრად. ანსამბლი
67. ამერიკელების მეტსახელი
68. ისრაელში მცხოვრები ებრაელები
69. მუზეუმი პარიზში
70. მატერიკი
71. მწერალი ალექსანდრე ...
72. თვითნასწავლი მხატვრობა
73. თხა ... ნაკლები მგელმა შეჭამოსო
74. მერიის შენობა ევროპის ქვეყნებში
75. პიგმენტაცია კანზე
76. დახლართული კორიდორი
77. ნეტარ ... მორწმუნენი
78. ბროში ადამიანის პროფილით
79. ფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება
80. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
81. კომბლეს ძროხა
82. სასტუმროს საუკეთესო ნომერი
83. უბადლო მუსიკოსშემსრულებელი
84. მტაცებელი კატისებრ. ოჯახიდან
85. მუხის ნაყოფი
86. ქალაქი. გასამართლეს ნაცისტები
87. საწარმოს შესყიდვის ფორმა
88. ავსული. ეშინია ნივრის
89. მოტორიანი ნავი
90. ბარდი ... ოკუჯავა
91. მწერალი ედგარ ალან ...
92. მეფე არტური: მრგვალი ...
93. „... ქუყისაგან“
94. კომპოზიტორი სერგეი ...
95. მწერალი შარლოტა ...
96. სახელმწიფო დაფინანსება
97. მსახიობი ... ვენტურა
98. აჭარის დედაქალაქი
99. სპორტული ნაგებობა
100. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე
101. ძალღონე
102. სახელმწიფო აზიაში
103. ძროხის ნაშიერი
104. მწერალი ... როდარი
105. ფაიფურის ნაკეთობა
106. რაფაელ საბატინი. „კაპიტან ... ოდისეა“
107. საქმეში ჩადებული წილი
108. რეჟისორი ... კუსტურიცა
109. საფრენი აპარატი
110. „აკაკის აკვანი“ აბაშიძე
111. სტადიონი მეხიკოში
112. ზამბახი
113. მომღერალი ... იშხნელები
114. ტყის სანიტარი ფრინველი
115. მსახ. ... უიზერსპუნი
116. შენობა საწნახ-ლით
117. მსახიობი ... ვერულაშვილი
118. ქმედება ალალბედზე
119. მომავლის რწმენა
120. მწერი
121. ერთიანი ნარდში
122. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
123. რეჟისორი ალფონსო ...
124. კვერცხის პროექცია სიბრტყეზე
125. ვირისა და ცხენის ნაშიერი
126. მხ/ფ „... ნახვით შეყვარება“
127. სოფელი რაჭაში
128. შხამიანი ბაყაყი
129. ვაჟიშვილი, ანუ ...
130. შვედური საესტრადო ანსამბლი
131. წლოვანება
132. ცეკვა, ანუ ...
133. მსახიობი ... პარიო
134. „... ზღვას შუა ძვლისძვლად“
135. აშუღი ... გურჯი
136. სოფელი რაჭაში
137. ... ურჩევნია შამულსა
138. დაკოდილი ცხენი
139. გიტარის მავთული
140. მსახიობი ... პაჩინო
141. მსახიობი ... აბაშიძე
142. დიდი საჯარისო შენაერთი
143. უკანონოდ მონადირე
144. შესახედაობა

პასუხები: 1. „ხანუმა“; 2. კაბუკი; 3. ბეკონი; 4. ლევან; 5. მოკასინი; 6. სინაგოგა; 7. მორალი; 8. ნათია; 9. კარამელი; 10. ტური; 11. ზიჩი; 12. მორიკონე; 13. კინოლოგი; 14. ნაგომარი; 15. კუტუზოვი; 16. კაკანათი; 17. იდეა; 18. სიგალი; 19. დარიჩინი; 20. კვიპროსი; 21. ედელვაისი; 22. ბატატი; 23. სიცილია; 24. არია; 25. ლელქაში; 26. საიგონი; 27. კვადრატი; 28. არა; 29. რატი; 30. ტოსტერი; 31. სირტაკი; 32. პრიმადონა; 33. ამალა; 34. „აელიტა“; 35. მესერი; 36. სესილია; 37. ტროტუარი; 38. დირექტორი; 39. ლოტი; 40. გორილა; 41. პალიასტომის; 42. გიტარა; 43. იმაგო; 44. ჰაშიში; 45. შიში; 46. იაქე; 47. ალ; 48. საფრთხობელა; 49. მატელოტი; 50. ტაპირი; 51. ენძელა; 52. მესტია; 53. შაიბა; 54. ილუმინატორი; 55. კაპიტულაცია; 56. არამ; 57. რიურიკი; 58. „ავატარი“; 59. არ; 60. ძაღლი; 61. ღლავი; 62. ლიანდაგი; 63. უხა; 64. ირენ; 65. ზაგრები; 66. „ივერია“; 67. იანკი; 68. საბრა; 69. ლუვრი; 70. კონტინენტი; 71. ყაზბეგი; 72. ნაივი; 73. თხაზე; 74. რატუშა; 75. ხალი; 76. ლაბირინთი; 77. არიან; 78. კამეა; 79. ბიენალე; 80. ომეგა; 81. ჭრელა; 82. ლუქსი; 83. ვირტუოზი; 84. იაგუარი; 85. რკო; 86. ნიურნბერგი; 87. ტენდერი; 88. ვამპირი; 89. კატერი; 90. ბულატ; 91. პო; 92. მაგიდა; 93. ვაი; 94. პროკოფიევი; 95. ბრონტე; 96. დოტაცია; 97. ლინო; 98. ბათუმი; 99. სტადიონი; 100. აბორიგენი; 101. სიქა; 102. იემენი; 103. ხბო; 104. ჯანი; 105. კერამიკა; 106. ბლადის; 107. პაი; 108. ემირ; 109. დირიჟაბლი; 110. ნაზიბროლა; 111. „აცტეკა“; 112. ირისი; 113. დები; 114. კოდალა; 115. რიზ; 116. მარანი; 117. ბესო; 118. რისკი; 119. იმედი; 120. კალია; 121. იაქე; 122. სირიუსი; 123. არაუ; 124. ოვალი; 125. ჯორი; 126. ერთი; 127. ჭრებალო; 128. აგა; 129. ვაჟი; 130. „აბბა“; 131. ასაკი; 132. როკვა; 133. ან; 134. ორ; 135. იეთიმ; 136. ირი; 137. ის; 138. იაბო; 139. სიმი; 140. ალ; 141. ლეილა; 142. არმია; 143. ბრაკონიერი; 144. იერი. იკითხება: ედიტ პიაფი.

## ბავშვის გონების განვითარებისთვის ყველაზე სასარგებლო სათამაშო დაასახელეს



ის, რომ სათამაშო ბავშვს მხოლოდ გართობაში კი არა, გონების განვითარებაშიც ეხმარება, ცნობილი ამბავია, თუმცა მეორე მხარეა, რამდენად ადვილია პატარასთვის ყველაზე საუკეთესო სათამაშოს შერჩევა?

ჰოდა, მშობლებისთვის სწორედ ამ მიმართულებით გადაწყვიტეს დახმარების აღმოჩენა ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებმაც საკმაოდ მასშტაბური კვლევის შედეგად დაადგინეს: „3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვის გონების განვითარებისთვის ყველაზე საუკეთესო სათამაშო ჩვეულებრივი პლასტილინია".



მეცნიერების განმარტებით, პლასტილინი ხელს უწყობს ბავშვის ხელის მოტორიკის განვითარებას, რაც პირდაპირ კავშირში ყოფილა გონებრივი შესაძლებლობების სრულყოფისთვის.

– რაც უფრო აქტიურად ამოძრავებს ბავშვი თითებს, მით უფრო მალე იწყებს ლაპარაკს, რადგან მოძრაობითი და სამეტყველო რეცეპტორები ადამიანის თავის ტვინში ერთმანეთის გვერდზეა განლაგებული, – განმარტავენ ამერიკელი სწავლულები.

***myjane.ru***

## წვერცანცარა თხამ სადილად... 10 ათასი ევრო მიირთვა!



აუფ, ცანცარა კი არა, სუფთა დეგენერატი გამოდგა ერთი საცოდავი გერმანელი ფერმერის თხა, რომელმაც თურმე 10 ათასი ევრო „მოძოვა".

თურმე, მარტინ რედლბერგერს ტრაქტორისთვის შეგროვილი 10 ათასი ევრო სამზარეულოს მაგიდაზე დაუტოვებია და სახლიდან გასულს, კარის მიხურვა დავიწყნია.

სწორედ ამით ისარგებლა თხამ, სამზარეულოში შეიპარა და რაც რამ გზაში შეხვდა, ყველაფერი შეახრამუნა, მათ შორის, მთელი თანხაც.

– სულ ხუთი წუთით გავედი სახლიდან და როცა უკან მოვბრუნდი, თხა უკვე ბოლო კუპიურას ღეჭდა, – გამწარებული მოსთქვამს მარტინ რედლბერგერი.

ერთადერთი, რაც დაზარალებულმა ფერმერმა შეძლო, თხა მაშინვე ვეტერინარულ კლინიკაში გააქანა და ქირურგიული ჩარევის დახმარებით, 7 ათასამდე ევროს გადარჩენა შეძლო, დანარჩენი თანხა კი ცანცარა ცხოველს სრულად გაენადგურებინა...

***etotupo.ru***

## სიჩქარის გადაჭარბება მამაკაცის ჯანმრთელობისთვის... სასარგებლოა?

შესაძლოა, ამ ინფორმაციას არც უნდა ვამხელდეთ, რადგან ავტომობილის სწრაფად მართვა საკმაოდ დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ თავს იმით ვიმართლებთ, რომ ეს ყველაფერი კანადელი მეცნიერების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გავიგეთ.



დიახ, სწორედ კანადელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სიჩქარის გადაჭარბება და ზოგადად, ავტომობილის სწრაფად მართვა მამაკაცის ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას ახდენს. კერძოდ, ძლიერ სქესში ჰორმონ ტესტოსტერონის დიდი რაოდენობით გამომუშავება ხდება.

საქმე ისაა, რომ მეცნიერებმა დაადგინეს, თურმე ავტომობილის მართვისას, მამაკაცს ტესტოსტერონი, ფაქტობრივად, ნებისმიერ შემთხვევაში გამოუმუშავდება, განსაკუთრებით კი ეს მაშინ ხდება, როცა სიჩქარე დასაშვებზე მაღალია.

– ტესტოსტერონი მნიშვნელოვნად ამცირებს გულის დაავადებების გაჩენის რისკს. გარდა ამისა, სწრაფად სიარული შესანიშნავი პროფილაქტიკაა დიაბეტისთვის და ასევე, ხელს უშლის დეპრესიის გაღრმავებას, – ამტკიცებენ კანადელი მეცნიერები.

***auto.mail.ru***

## პენსიონერი პლასტმასის ბოთლებისგან აგებულ სახლში გადაბარგდა



– თუკი დიოგენე კასრში ცხოვრობდა, ვითომ მე პლასტმასის ბოთლებისგან აგებულ სახლში ვერ მოვისვენებო? – გაიფიქრა სერბმა პენსიონერმა და მაშინვე ამ უჩვეულო იდეისთვის ფრთის შესხმას მიჰყო ხელი.

როგორც ირკვევა, იმისთვის, რათა 60 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე სახლი აეშენებინა, სერბეთის ქალაქ კრაგუევაცის მკვიდრს, ტიმოსლავ რადოვანოვიჩს 5 წელი და 13 ათას 500 ბოთლი დასჭირდა.

პენსიონერი იმედოვნებს, რომ მისი მიღწევით აუცილებლად დაინტერესდება გინესის წიგნის რედაქცია, თუმცა ასეც თუ არ მოხდება, ის პლასტმასის ბოთლებისგან აგებულ სახლში მაინც მშვიდად იცხოვრებს.

რადოვანოვიჩის განმარტებით, ცემენტი მხოლოდ სახლის ფუნდამენტში ჩაასხა, ყველა დანარჩენი დეტალისთვის კი ბოთლები გამოიყენა.

***mainfun.ru***

## ავიაკომპანიამ ტექნიკური პრობლემები ცის ღმერთისთვის მსხვერპლის შეწირვით მოაგვარა...



დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მსხვერპლთშეწირვა 21-ე საუკუნეშიც ხდება, თანაც, ამ სისულელეს ავიაკომპანიები მიმართავენ და არა, ვთქვათ, რომელიმე ველური ტომის წარმომადგენლები. როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც ნეპალის სახელმწიფო ავიაკომპანიის კუთვნილი „ბოინგ 757" მწყობრიდან გამოვიდა, ხელმძღვანელობამ წამოჭრილი ტექნიკური პრობლემის მოსაგვარებლად ცის ინდური ღმერთისთვის, აკაშ ბაირაბისთვის მსხვერპლის შეწირვა გადაწყვიტა.

იქაური მედიის ინფორმაციით, ცის ღმერთს კომპანიამ ორი თხა შესწირა და ცხოველებს წერა პირდაპირ კატმანდუს აეროპორტში გამოუყვანა. ავიაკომპანიაში მიიჩნევენ, რომ სულ მალე თვითმფრინავის პრობლემა მოგვარდება და ის ფრენას კვლავაც შეძლებს... მაშ, მტყუანს?!

***etotupo.ru***

## ინტერნეტის ზედმეტად სიყვარულისთვის, ცოლმა ქმარს ხელი მოაჭრა



ნებისმიერმა ნორმალურად მოაზროვნე მამაკაცმა შესანიშნავად იცის, რომ ქალს განსაკუთრებული ყურადღება ხიბლავს და იზიდავს და თუკი ამ მხრივ რაღაც ისე ვერ არის, უი, მე! მტრისას და ავისას!..

სწორედ ამის ნათელი მაგალითია ის შემზარავი ფაქტიც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩინეთში დაფიქსირდა და რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება, რომ ინტერნეტის მიმართ ზედმეტი სიყვარულისთვის 35 წლის ჩან ლინმა მარჯვენა ხელი დაკარგა.

თურმე, ლინს ბევრჯერ მიუცია ახლად შერთული მეუღლისთვის პირობა, რომ კომპიუტერს აღარასოდეს მიუჯდებოდა და რომ მას ყურადღებას არ მოაკლებდა, თუმცა, სამწუხაროდ, სიტყვა ვერ შეასრულა და დარჩა კიდეც ხეიბრად.

რაც ყველაზე მთავარია, ცოლმა ქმარს ხელი ზუსტად მაშინ წააჭრა, როცა ის კვლავ კომპიუტერთან იჯდა და ინტერნეტში გაფაციცებით დაძვრებოდა.

– უეცრად საშინელი ტკივილი ვიგრძენი და დავინახე, რომ ჩემი ხელი იატაკზე ეგდო. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს, – განმარტავს დაზარალებული, რომლის მეუღლეს საკმაოდ ხანგრძლივი პატიმრობა ელის, მაგრამ მის მარჯვენა ხელს აღარაფერი ეშველება.

ჰოდა, გაითვალისწინეთ ეს შემთხვევა, ძვირფასო მამაკაცებო, თორემ...

***factroom.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



კარზე ზარია. ალებს ახალგაზრდა ქალი, ხედავს, ზღურბლზე მამაკაცი დგას:

– გამარჯობათ, მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ.

– ზემოდან თუ ქვემოდან?

მამაკაცი დაბნეულია:

– როგორ, ასე უცბად და პირდაპირ?!.

*****



მიმდინარეობს სარეკლამო რგოლის გადაღება. მსახიობს სთხოვენ:

– თქვი პური!

– პური...

– უფრო რბილად!

– პური...

– კიდევ უფრო რბილად!

– ფუნთუშა!!!

*****

პატარა კოტე აფთიაქში შევარდა:

– უკაცრავად, დეიდა, რამე ტკივილგამაყუჩებელი არ გაქვთ?

– რა იყო, ბიჭუნი, რა გტკივა?

– ჯერ არაფერი, მაგრამ მამიკო უკვე წავიდა სკოლაში მშობლების კრებაზე და...

*****

გვირილა არსებობს 2 სახეობის: „ვუყვარვარ" და „ოოო, ეს რაღაც დებილურია"...

*****

ცოლი ფანჯრის რაფაზე დგას და ქმარს უყვირის:

– მორჩა, ვხტები! აღარ შემიძლია ამდენი ღალატი, მომბეზრდა სახლის დალაგება, საჭმლის კეთება!!! და მორჩი ხელის კვრას, კაცო...

*****

კურდღელი ტყის ინსპექტორად დანიშნეს, წესრიგი დაიცავიო. მივიდა მელიასთან და უჩმახებს:

– ვისი ქურქია?

– ჩემი...

– იტყუები, ვიღაცას მოპარავდი...

ჩასვა ეგრევე ციხეში. ზის მელა, ზის, ზის და ერთ დღესაც საკანში იხვი შეუყვანეს.

– შენ რაღაზე?

– რა ვიცი, კურდღელი შემომიჩნდა, ვისი ფულებით დაფრინავ ყოველ წელს თბილ ქვეყნებშიო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე მერი ყანჩაველი, შვილები დავითი და კობა, რძალი ხათუნა ჯანხოთელი, შვილიშვილები ნინო, გიორგი, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### შალვა (თენგიზ) ყანჩაველი

**პანაშვიდი:** 21, 22 თებერვალს;
**დაკრძალვა:** 23 თებერვალს, 14 საათზე;
**მისამართი:** ჩუღურეთის რაიონი, ვერხარნის შესახვევი №6.



ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

### აბესალომ ვეკუა

**პანაშვიდი:** 20, 21 თებერვალს, 17 საათზე; **მისამართი:** გოთუას №16, I სადარბაზო; **დაკრძალვა:** 22 თებერვალს, 14 საათზე.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ჩეხმა მოტომრბოლელმა ავარიის შემდეგ ინგლისურად დაიწყო ლაპარაკი




გადაყირავდა, დაეცა, გამოფხიზლდა და აღმოაჩინა, რომ სიახლე მხოლოდ დიდი რაოდენობით თაბაშირი კი არ იყო, არამედ გაურკვეველი მიზეზებით, ინგლისური ენაც უსწავლია, ხოლო მშობლიური დავიწყებია...

დიახ, სწორედ ასეთი საოცარი რამ შეემთხვა 18 წლის ჩეხ მოტომრბოლელს მატეი კუსს, რომელსაც ავარია მორიგ შეჯიბრებაზე გამოსვლისას შეემთხვა და როცა გონს მოეგო, მხოლოდ ინგლისურ ენაზეღა საუბრობდა.

ექიმების განმარტებით, რომლებმაც პირველებმა აღმოაჩინეს ეს უცნაური ცვლილება, მოტომრბოლელი სუფთა ინგლისურით, ყოველგვარი აქცენტის გარეშე საუბრობდა, მშობლიური ენა კი აღარ ესმოდა.

საინტერესო ის არის, რომ ავარიამდე მატეი კუსს ინგლისურს ინჩიბინჩი არ ესმოდა.

რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება, ექიმები განმარტებას ვერ იძლევიან. ზოგადად კი სამედიცინო პრაქტიკაში ცნობილია, როცა სერიოზული ტრავმები ადამიანებს სრულიად უცხო ენაზე აალაპარაკებს ხოლმე, მაგრამ როგორ და რატომ ხდება ასეთი რამ, დღემდე გაურკვეველია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***mainfun.ru***

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**20 თებერვალი:** დღეს რაიმე ახლის ძებნა არ მოგიწევთ. ყველაფერს კარდინალურად შეცვლის ერთი სატელეფონო ზარი. მხოლოდ ის დაგრჩათ, დაელოდოთ.

**კურო 22.04-21.05**
**20 თებერვალი:** შეიძლება დღეს იმდენად ბევრ ადამიანს დასჭირდეთ, რომ ვილაცისთვის უარის თქმაც მოგიწიოთ, თორემ არაქათი გამოგეცლებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**20 თებერვალი:** სასურველია, დეტალებს ყურადღება არ მიაქციოთ და სიტუაციას მთლიანობაში შეხედოთ. ბევრ ახალსა და საინტერესოს გაიგებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**20 თებერვალი:** არის ალბათობა, რომ დღეს მორალური ხასიათის პრობლემები გაგიჩნდეთ. იქნებ ახლობლებთან ურთიერთობების პოლიტიკაში ცვლილებები შეგეტანათ?

**ლომი 23.07-22.08**
**20 თებერვალი:** გარკვეული ცვლილებები გესაჭიროებათ. კარგად დაფიქრდით და გაიაზრეთ, რა მოგბეზრდათ და რის შეცვლა შეგიძლიათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**20 თებერვალი:** საკმაო დრო რომ გქონდეთ, ეს დღე შესაფერისი იქნებოდა რაიმე დიდი პრობლემის ყოველმხრივ განხილვისთვის. ისე, თუ მოინდომებთ, დროს გამონახავთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**20 თებერვალი:** დღეს საბოლოოდ იპოვით პასუხს კითხვაზე, რომელიც რამდენიმე დღეა, გაწუხებთ. თუმცა ამისთვის გარკვეული ძალისხმევა დაგჭირდებათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**20 თებერვალი:** დღეს წარმატებას მიაღწევთ, თუკი ფანტაზიას გამოიყენებთ. ნებისმიერი მოვლენა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს, ასე რომ, თქვენი თვალთახედვა დააფიქსირეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**20 თებერვალი:** მოულოდნელად იდუმალებით მოცული გახდებით და ბევრ ცნობისმოყვარეს დააინტერესებთ. მათი თავიდან მოცილება გაგიჭირდებათ, ამიტომ უმჯობესია, იმიჯი შეიფეროთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**20 თებერვალი:** თქვენი უძლიერესი კოზირი მყარი ლოგიკა იქნება. თუმცა იგივეს ნუ მოელით იმ ადამიანებისგან, ვისთანაც ურთიერთობა გექნებათ – გაწბილება გელით.

**მერწყული 20.01-18.02**
**20 თებერვალი:** მოვლენების მართვის სურვილი ცუდი არ არის, მაგრამ ეს დღე საამისოდ შეუფერებელია. ასე რომ, ამის მცდელობაც არ ღირს.

**თევზები 19.02-20.03**
**20 თებერვალი:** რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, პირველი ვიოლინოს როლში დღეს თქვენ არ იქნებით. ამისთვის ბრძოლაც არ არის სასურველი, მხოლოდ რეპუტაციას გაიფუჭებთ.

## 6 წელი ჩინელი მამაკაცი თვალში ჩარჩენილი შუშით ცხოვრობდა



სხვათა შორის, ეს ნამდვილად არ არის პირველი შემთხვევა, როცა ცნობილი ხდება, რომ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში ორგანიზმში გაჩხერილი უცხო სხეულით ცხოვრობდა, თუმცა ისეთ მგრძნობიარე ორგანოზე, როგორიც თვალია, ჯერჯერობით საუბარი არასოდეს ყოფილა, რომ აღარაფერი ვთქვათ, დროის ფაქტორზე.

მაგალითად, შეგახსენებთ, რომ გარკვეული პერიოდის წინ ერთ-ერთ იაპონელ ქალს კბილის ჯაგრისი... ცხვირში გაეჭედა, მაგრამ მომხდარი მალევე დაადგინა, უფრო შორეულ წარსულში კი იმასაც წერდნენ, რომ აზიის რომელიღაც ქვეყანაში მოხუცი ქალის კუჭში საქსოვი ჩხირები აღმოაჩინეს.

მოკლედ, დავუბრუნდეთ ისევ ჩინელ მამაკაცს, რომელსაც სახელად სიაო ჟუ რქმევია და რომელიც თურმე, მთელი 6 წლის მანძილზე თვალში გაჩხერილი შუშით ცხოვრობდა.

როგორც ირკვევა, შუშის მოზრდილი ნამსხვრევი სიაო ჟუს თვალში მას შემდეგ ჩარჩენია, რაც ჩხუბის დროს თავზე ლუდის ბოთლი გადაამტვრიეს. ექიმებს მის თვალში მაშინვე უპოვიათ რამდენიმე ნამსხვრევი, მაგრამ ყველაზე მოზრდილისთვის რატომღაც ვერ მიუგნიათ.

– ტკივილებმა სულ რამდენიმე კვირის წინ შემაწუხა და კონსულტაციისთვის ექიმთან ამიტომ მივედი. შუშის 6-სანტიმეტრიანი ნაჭერი სწორედ მან აღმომიჩინა, – ამბობს სიაუ ჟუ, რომელსაც, საბედნიეროდ, ოპერაცია გართულებების გარეშე ჩაუტარდა და სახლში მალევე გაეწერა.

***factroom.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

– თეონა, შენ თუ გაქვს გადაწყვეტილი, რა პროფესიას დაეუფლები?

– მინდა, ბალერინა გავხდე, მასწ.!

– შენ, ლევანიკო?

– მე პატრული ვიქნები, მასწ.

– და კოტე, შენ რას აპირებ?

– მე სექსოპათოლოგობა მინდა!

– რატომ, იქნებ აგვიხსნა?

– მარტივია, მასწ., აი, გაიხედეთ ფანჯრიდან – ხედავთ, ორი გოგონა დგას და ნაყინს მიირთმევს. ერთი მათგანი ნაყინს ლოკავს, მეორე კი კბეჩს. აბა, თუ მეტყვით, რომელია მათგან გათხოვილი?

– ალბათ, რომელიც ლოკავს...

– არა, მასწ., გათხოვილია ის, რომელსაც მარჯვენა ხელის არათითზე ნიშნობის ბეჭედი უკეთია... მე კი თქვენნაირებს ვუმკურნალებ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.40